# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის მუშაობის ანგარიში





www.molhs.gov.ge

მოამზადა: ნუგზარ სურმანიძე

რომან ბოლქვაძე

ლევან გორგილაძე

ნონა გალოგრე

რამაზ ჯინჭარაძე

ირაკლი მახარაძე

ლიზა თედორაძე

მანანა ფაღავა

ლელა სურმანიძე

ნაზი მგელაძე

სულხან დიასამიძე

ბადრი კობალაძე

ანზორ ბალაძე

ირაკლი ქედელიძე

მარო ჩხაიძე

კობა ნაკაიძე

## I სამართლებლივი საფუძვლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. თავისი ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში.

სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დევნილთა და განსახლების სფეროში ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სანიტარია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიეკუთვნება „აჭარის განსაკუთრებული გაგმებლობას“ (მუხლი 3, ქვეპუნქტი ,,ი”).

ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სამინისტროს საქმიანობას მოიცავს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, საქართველოს შრომის კოდექსს, საქართველოს კანონებს საჯარო სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის  შესახებ. კონკრეტულ სფეროებში სამინისტროს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავის საქმოანობას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული ,,აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების საფუძველზე".

სამინისტროს საქმიანობა წარიმართებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 25 მაისის №12/78 ბრძანებით დამტკიცებული 2012-2015 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

## II სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში შედის:
სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები;
სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო".

სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სოციალური დაცვის დეპარტამენტი;

დ) სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი

ე) იურიდიული დეპარტამენტი;

ვ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;

ზ) ბიუჯეტის დაგეგმისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;

თ)დევნილთა და განსახლების დეპარტამენტი;

ი) შიდა აუდიტის დეპარტამენტი"

### III სამინისტროს ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი (ნაერთი)   - **7.654.300 ლარი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი (აპარატი)  - **1.586.270 ლარი.**

ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები -**4.794.735 ლარი.**

სოციალური დახმარების პროგრამები   -  **256.036 ლარი.**

***სულ პროგრამები: - 5 050 771 ლარი.***




სვადასხვა სოციალური დახმარებები (სარეზერვო ფონდის მიერ დაფინანსებული) - **213.084 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2013 წლის ბიუჯეტი (ნაერთი)    -**641.260 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2013 წლის ბიუჯეტი (აპარატი)   **- 381.360 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2013 წლის ბიუჯეტი (პროგრამები)  -**259.900 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,დასაქმების სააგენტო" - ს 2013 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) -**375.999 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,დასაქმების სააგენტო" - ს 2013 წლის ბიუჯეტი (აპარატი) – **341.400 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,დასაქმების სააგენტო" - ს 2013 წლის ბიუჯეტი (პროგრამები)  - **34.999 ლარი.**

## IV სამინისტროს ხედვა; მისია; სტრატეგიული მიზნები; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

ხედვა: აჭარა ჯანმრთელი და სოციალურად დაცული ოჯახებით;

მისია: სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მომსახურების ეფექტურობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა.

სამინისტროს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 2013 წლისათვის განპირობებული იყო სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით. ესენია:

- თავსებადობა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ორიენტირებული სიღარიბის შემცირებაზე;
- საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შენარჩუნება;

- ჯანმრთელობის ინდივიდუალური რისკების მართვის პასუხისმგებლობის განაწილება პიროვნებას, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის;
- საერთო მარეგულირებელ სივრცეში კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა
- პაციენტის თავისუფალი არჩევანის უფლების უზრუნველყოფა.

სამინისტროს სტრატეგიული მიზნები ჩამოყალიბდა ოთხი მიმართულებით.

- სამედიცინო მომსახურებისადმის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მიზნობრივი ჯგუფებისათვის
- სოციალური დაცვის ღონისძიებების გაფართოვება და დახვეწა
- უწყების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ინფორმირება ხელმისაწვდომი სოციალური მომსახურების შესახებ
- სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის შემუშავებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია იმ შედეგებისათვის რაც დასახული იყო სტრატეგიული მიზნებით.

❖ **მნიშვნელოვნად დაიხვეწა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები**
  - სამინისტროში ხორციელდებოდა მოქალაქეთა ყოველდღიური მიღება.
  - სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ქ. ბათუმის მერიასთან, მუნიციპალიტეტების გამგებლებთან ჯანდაცვისა და სოციალური მიზნობრივი პროგრამების პროექტების შემუშავებისა და მათი განხორციელების საკითხებში.
  - სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების გაცნობის მიზნით შეხვედრები გაიმართა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან, თემის რწმუნებულებთან, სამედიცინო პერსონალთან, სოფლის ექიმებთან და თემის სამედიცინო პუნქტების წარმომადგენლებთან. პროგრამები, ასევე წარედგინა არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.
  - მიზნობრივი პროგრამების შესახებ მომზადდა 3 ვიდეო რგოლი, რომელიც გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიით. დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები და პოსტერები, რომლებიც დაურიგდა მოსახლეობას, სამედიცინო დაწესებულებებს და გამოიკრა თვალსაჩინო ადგილებზე. დაიბეჭდა საგაზეთო სტატიები, ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოების, ტელევიზიების (საინფორმაციო გამოშვებები, თოქ–

შოუები), ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. პერიოდულად შევხვედრები იმართებოდა მოსახლეობასთან.

- გაიმართა 8 შეხვედრა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან სამინისტროს 2014-2017 წწ პრიორიტეტების, ასევე სამინისტროს 2014 წლის მიზნობრივი პროგრამების პროექტების შესახებ. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ USAID-ის და სხვა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.
- 2013 წელს განახლდა სამინისტროს ვებ–გვერდი.(www.molhs.gov.ge)
- 2013 წლის განმავლობაში სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 21 განცხადება. აქედან დაკმაყოფილდა 20 განცხადება, ხოლო ერთ განმცხადებელს უარიე თქვა იმ მიზეზით, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს. **მიმდინარე წელს სამინისტრო„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ დაჯილდოვდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.**
- შემოვიდა 10 490 კორესპოდენცია. აქედან: მოქალაქეთა განცხადებები 6 533, სხვადასხვა კორესპოდენცია 3 166, მოხსენებითი ბარათი 716, ზემდგომი ორგანოებიდან განკარგულება/ბრძანება 75. ყველა დოკუმენტი განხილულია, გაცემულია შესაბამისი განმარტებები, პასუხები ყველა შემთხვევაში გაცემულია კანონით დადგენილ ვადებში.
- 2013 წლის 1 იანვრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით სამინისტროს სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტს მომართა 3157 მოქალაქემ. მათ შორის: სატელეფონო შეტყობინება 977, მოქალაქეთა მიღება 1972, წერილი/კორესპოდენცია 208. 1 060 მომართვაზე შეივსო საპრეტენზიო ბარათი სადაზღვევო კომპანიებში, 902 მომართვა გადაწყდა მოქალაქის სასარგებლოდ, 158მომართვა ვერ დაკმაყოფილდა.

❖ **დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები**

- USAID-ის ხელშეწყობით შეიქმნა აჭარის მთავრობის საერთო ელექტრო-კომუნიკაციური სისტემა.
- პოლონეთის მთავრობის, კერძოდ სილეზიის სავოევოდოს აქტიური მხარდაჭერით მიმდინარე წელს პოლონეთის წამყვან კარდიოლოგიურ კლინიკებში წარმატებით განხორციელდა 4 კარდიოლოგისა და 2 მედდის გადამზადება, მომავალ წელს დაგეგმილია ონკოლოგების კვალიფიკაციის ამაღლება.
- თვითმმართველობისა და დასაქმების საკითხებზე პოლონეთში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროსა და დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლები.
- USAID, GOARA-ს დახმარებით განხორციელდა სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება – პროგრამული ბიუჯეტირების, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის დანერგვის ხელშეწყობის და პროგრამული ბიუჯეტის სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით.
- სამინისტროსა და ბეჩეშეჰირის უნივერსიტეტს (თურქეთი) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სამედიცინო სპეციალობის (აჭარის მკვიდრი)7კურსდამთავრებული რეზიდენტურის, ხოლო 1 კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსს 2014 წლის იანვრიდან ბაჩეშეჰირის უნივერსიტეტში გაივლის.

- სამინისტრო თანამშრომლობს თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოსთან (TIKA). 2013 წელს სამინისტრო გადავიდა TIKA-სთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე.**ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა:**
  1. სოფ. ცხემლარის თემის სამედიცინო პუნქტის მშენებლობა-აღჭურვა;
  2. სრული რეაბილიტაცია მახინჯაურში მდებარე შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის, აღიჭურვა საოფისე და სამედიცინო ინვენტარით.

❖ **სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისათვის**

- შეიქმნა აჭარის მთავრობის საერთო ელექტრო-კომუნიკაციური სისტემა, რომელშიც ჩართულია სამინისტრო;
- ჩატარდა სამინისტროს თანამშრომელთა ატესტაცია, რომელმაც გამოავლინა საჯარო მოხელეთა საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის დონე;
- 7 ვაკანტური თანამდებობა დაკომპლექტებულ იქნა კონკურსის წესით;
- USAID–ისა და GIPA–ს მიერ 3G–ის პროექტის ფარგლებში სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, საჯარო სამსახურის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში.

## VI სამედიცინო კადრები

### სამედიცინო კადრები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის მონაცემების მიხედვით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2013 წლის მონაცემებით შეადგენდა 3969 (ექიმი-1565, ექთანი-1307, უმცროსი სამედიცინო პერსონალი-566 სხვა პერსონალი–531). ერთ საწოლზე ექიმების საშუალო რაოდენობა 1,13 (გარდა ექიმ–სტომატოლოგისა), ხოლო ექთნების 1,2 (საქართველოში ექიმის საშუალო რაოდენობა 1 აღემატება), საშუალო ევროპული მაჩვენებელია ერთ საწოლზე 0,6 ექიმი. ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედგენს 394,4 (საქართველოს მაჩვენებელია 300,3), საშუალო სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) შეადგენს 345, საქართველოს მაჩვენებელია 407,1.

*საექიმო კადრების გადანაწილება სპეციალობების მიხედვით (2013წ.)*




## VII სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ გაწეული მუშაობა

### 1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №39 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებით და ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 მაისის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- საქმისწარმოების განყოფილება
- სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება

დეპარტამენტში დასაქმებულია 23 თანამშრომელი, მათ შორის დეპარტამენტის უფროსი - 1, განყოფილების უფროსი - 2; მთავარი სპეციალისტი - 6; დამხმარე პერსონალი - 7, მათ შორის 5 მძღოლი და 2 დამლაგებელი.

დეპარატამენტში შემუშავებულია წლიური სამუშაო

თანამშრომლებს შორის განაწილებულია ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები საქმიანობის სფეროში.

**საქმისწარმოების განყოფილება**

საქმისწარმოების განყოფილება თავის მუშაობას აწარმოებს საქმისწარმოების ერთიანი წესის, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად.

უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალურიო დაცვის მინისტრის ბრძანებების გაფორმების სისწორეს და მათ შემსრულებლამდე დაყვანას.

სამინისტროში შემოსული და სამინისტროდან გასული ნებისმიერი დოკუმენტის რეგისტრაციას. რეგისტრაციისა და დოკუმენტების მიხედვით სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა განხორციელებას. შემოსული დოკუმენტების დროული განხილვისა, განაწილებისა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაციას. დოკუმენტების შესრულების რეგულირებას.

სამინისტროში შემოსული წერილების, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების აღრიცხვას, დასმული პრობლემების თემატურ ანალიზს.

სამინისტროს საქმეთა ნომენკლატურის შემუშავებას, საქმეთა შენახვისა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიული გამოყენების უზრუნველყოფას.

სამინისტროს კადრების აღრიცხვას, პირადი საქმეების წარმოებასა და მოხელეთა ატესტაციის ორგანიზებას. სხვა საკადრო საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებათა უზრუნველოფას.

სამინისტროს განსაკუთრებული ღირებულების და პირადი შემადგენლობის დოკუმენტების შენახვასს, მათ აღრიცხვას და შესანახად გადაცემას.

სამინისტროს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის შესახებ ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების მომზადებას.

წლის განმავლობაში სამინისტროში დოკუმენტბრუნვამ შეადგინა 12802.

2013 წელს საქმისწარმოების განყოფილების მიერ მიღებული, დამუშავებული და გაგზავნილი იქნა სხვადასხვა სახის კორესპოდენცია.

განყოფილებამ უზრუნველყო კორესპოდენციების დროულად გადაცემა სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის და საფოსტო გზავნილების გაგზავნა რაიონებსა და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში.

სამინისტროში განხორციელდა შემდეგი სახის დოკუმენტბრუნვა:

შემოვიდა მოქალაქეთა ინდივიდუალური და კოლექტიური განცხადება -6630,

სხვადასხვა კორესპოდენცია- 5342.

ზემდგომი ორგანოებიდან გადმოგზავნილია ბრძანება და განკარგულება-81.

მოხსენებითი ბარათი -749.

მომზადდა ბრძანებები საკადრო, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საკითხებზე-455.

სულ გადაგზავნილი იქნა -4249 გზავნილი.

სულ სამინისტროში შემოვიდა 15694 კორესპონდენცია.

წლის განმავლობაში სამინისტრიში შემოსული ყველა სახის კორესპოდენცია რეაგირებულია.

## 2. ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №39 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებით და ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 მაისის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- სამედიცინო მომსახურების განყოფილება
- პროგრამების მართვისა და მონიტორინგის განყოფილება.

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის №42 დადგენილებით განხორციელებული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციის შედეგად, ხოლო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 21 ოქტომბრის №72/ო ბრძანებით.

დეპარტამენტში დასაქმებულია 9 თანამშრომელი, მათ შორის დეპარტამენტის უფროსი - 1, განყოფილების უფროსი - 2; მთავარი სპეციალისტი -6;

სამინისტროს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შემდეგ

პროგრამები წარედგინა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს, თემის რწმუნებულებს, სამედიცინო პერსონალს, სოფლის ექიმებს და თემის სამედიცინო პუნქტების წარმომადგენლებს. პროგრამები, ასევე წარედგინა არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

მომზადდა მიზნობრივი პროგრამების საინფორმაციო ბუკლეტები და პოსტერები, რომლებიც დაურიგდა მოსახლეობას, სამედიცინო დაწესებულებებს და გამოიკრა თვალსაჩინო ადგილებზე. დაიბეჭდა საგაზეთო სტატიები, ინფორმაცია გავრცელდა ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან სამინისტროს 2014-2017 წწ პრიორიტეტების, ასევე სამინისტროს 2014 წლის მიზნობრივი პროგრამების პროექტების შესახებ საჯარო განხილვის დროს.

დეპარტამენტი 2013 წლის ჯანდაცვის პროგრამებში (5 ქვეპროგრამა) ბენეფიციართა ჩართვას ახორციელებდა სამედიცინო ვაუჩერის გაცემის გზით. სულ გაცემული იქნა 4 289 ვაუჩერი, მათ შორის:

- მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი გაიცა – 2 071 ვაუჩერი;
- რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი გაიცა – 320 ვაუჩერი;
- დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი გაიცა – 162 ვაუჩერი;
- გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი გაიცა – 1151 ვაუჩერი;
- ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტი გაიცა – 585 ვაუჩერი;

2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი, ხოლო 2013 წლის 1 ივლისიდან კი მეორე ეტაპი, რამაც გამოიწვია დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის, გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტის, ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტების მოქმედების შეჩერება.

დეპარტამენტის მიერ 2013 წელს განხილული იქნა და მომზადდა შესაბამისი პასუხები 4959 კორესპოდენციაზე. საიდანაც 4 289 მოქალაქე ჩართული იქნა სამინისტროს პროგრამებში. დეპარტამენტში მიღებული იქნა 9 578 მოქალაქე.

დეპარტამენტის მიერ სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შემუშავებული იქნა სამინისტროს 2014 წლის ჯანდაცვის მიზნობრვი პროგრამა, კერძოდ:

- ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამები
  - გულის ქირურგია –(**ბიუჯეტი – 1,218,000);**
  - მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება-(**ბიუჯეტი– 1,290,000);**
  - სახსრების ენდოპროთეზირება-(**ბიუჯეტი –250,000);**
  - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის კომპონენტი-(**ბიუჯეტი– 350,000);**
  - სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი-(**ბიუჯეტი– 742,400);**
  - სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა-(**ბიუჯეტი– 253,400);**
  - თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება -(**ბიუჯეტი– 30,000).**
  - სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება (**ბიუჯეტი –270 000 );**

დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა ასევე შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი, სამედიცინო ვაუჩერის ფორმა, ვაუჩერის გაცემის წესი.

დეპარტამენტი მონაწილეობდა სამინისტროს 2014-2017 წლების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებაში.

დეპარტამენტის მიერ მომზადებული იქნა ჯანდაცვის პროგრამების მიმდინარეობისა (პრეზენტაცია) და დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები.

დეპარტამენტმა განახორციელა სამინისტროს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამების ინსპექტირება, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის კლინიკებში.

დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2013 წელს სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 32 ინსპექტირება 15 სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

დაწესებულებებისა და იმ მიზნობრივი პროგრამების (კომპონენტები) ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ინსპექტირება, ასევე ინსპექტირების თარიღი და პერიოდი მოცემულია ცხრილის სახით (იხილეთ დანართი № 1)

განხორციელებულ ოცდათორმეტივე ინსპექტირებაზე მომზადდა შესაბამისი აქტი, რომელიც გასაცნობად წარედგინათ დაწესებულებების ხემძღვანელებს.

ინსპექტირებით 7 სამედიცინო დაწესებულებაში გამოვლინდა როგორც სამინისტროზე, ასევე პაციენტებზე თანხების არაკორექტულად მოთხოვნის ფაქტები.

გამოვლენილი ფაქტები ასახული იქნა ინსპექტირების აქტში და გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“ ,,გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტის“ ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:
   - სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის - 230,21 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 253,43 ლარის ოდენობით.

   (დაწესებულებას სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში პაციენტებისათვის ზედმეტად მოთხოვნილი თანხა 771,82 ლარის ოდენობით შიდა კონტროლის დროს თავად ჰქონდა გამოვლენილი და ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს თანხის დაბრუნების მიზნით).
2. შპს ,,მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრს" ,,მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:
   - სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტში დაბრუნება 30,49 ლარის ოდენობით.
   - ზედმეტად მოთხოვნილი თანხის პაციენტისათვის დაბრუნება - 7,42 ლარის ოდენობით.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 79,61 ლარის ოდენობით.

3. შპს ,,ჯანმრთელობის ცენტრ მედინას" ინსპექტირებით გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:

   ა) „დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის" ფარგლებში:

   - ზედმეტად მოთხოვნილი თანხის პაციენტისათვის დაბრუნება - 880 ლარის ოდენობით.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 173,17 ლარის ოდენობით.

   ბ) ,,გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტის" ფარგლებში:

   - სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტში დაბრუნება 540 ლარის ოდენობით.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 594,74 ლარის ოდენობით.

4. შპს ,,ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ცენტრს" „დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის" ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:

   - სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის - 57,65 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 127,72 ლარის ოდენობით.

   (დაწესებულებას სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში პაციენტებისათვის ზედმეტად მოთხოვნილი თანხა 88,45 ლარის ოდენობით შიდა კონტროლის დროს თავად ჰქონდა გამოვლენილი და ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს თანხის დაბრუნების მიზნით).

5. შპს ,,აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრს" „რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის" ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:

   - სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტში დაბრუნება 184 ლარის ოდენობით.
   - ზედმეტად მოთხოვნილი თანხის პაციენტებისათვის დაბრუნება - 3 790 ლარის ოდენობით.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 107,10 ლარის ოდენობით.

6. შპს ,,უნიმედ აჭარა'' ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოს ინსპექტირებით გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:

   ა) „დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის" ფარგლებში:

- სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის - 211,5 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება.
- ზედმეტად მოთხოვნილი თანხის პაციენტისათვის დაბრუნება - 78 ლარის ოდენობით
- ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 45,4 ლარის ოდენობით.

ბ) ,,მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში:

- სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის - 706,96 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება.
- ზედმეტად მოთხოვნილი 88,12 ლარის პაციენტისათვის დაბრუნება.
- ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 791.67 ლარის ოდენობით.

7. შპს ,,ქ. ბათუმის სამშობიარო სახლს“ ,,მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში“ გამოვლენილი დარღვევების გამო დაეკისრა:
   - სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილი თანხის - 308,96 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება.
   - ზედმეტად მოთხოვნილი 9 ლარის პაციენტისათვის დაბრუნება.
   - ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო 487.58 ლარის ოდენობით.

   (დაწესებულებას ,,გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტის“ ფარგლებში პაციენტისათვის ზედმეტად მოთხოვნილი თანხა 4,8 ლარის ოდენობით შიდა კონტროლის დროს თავად ჰქონდა გამოვლენილი და ატარებდა შესაბამის ღონისძიენებებს თანხის დაბრუნების მიზნით).

დაწესებულებების მიერ პაციენტებისათვის ზედმეტად მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 4 852,52 ლარი, სამინისტროსათვის არაკორექტულად მოთხოვნილმა თანხამ 2 269,8 ლარი, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებზე დაკისრებულმა პირგასამტეხლომ 2 660,41 ლარი.

აღნიშნული თანხები ექვემდებარება პაციენტებზე და ბიუჯეტში დაბრუნებას, რის შესახებაც დაწესებულებები წერილობით არიან ინფორმირებულნი.

დანართი № 1

სამინისტროს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინსპექტირება

| დაწესებულების დასახელება | კომპონენტის დასახელება | ინსპექტირების განხორციელების თარიღი | ინსპექტირების პერიოდი |
|---|---|---|---|
| შპს ,,ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი | 19-28.03.2013წ. | 01.01.-20.03.2013წ. |
| შპს ,,ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტი | 19-28.03.2013წ. | 01.01.-20.03.2013წ. |
| შპს ,,ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | 19-27.03.2013წ. | 01.01.-20.03.2013წ. |
| შპს ,,ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი | 19-27.03.2013წ. | 01.01.-20.03.2013წ. |
| შპს ,,მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი" | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | 8-10 05.2013წ | 01.01.–01.05 2013წ. |
| შპს ,,მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი" | გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი | 8-10 05.2013წ | 01.01.–01.05 2013წ. |
| შპს ,,ჯანმრთელობის ცენტრი მედინა" | დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი | 17.05–7.06 2013წ. | 01.01–01.05 2013წ. |
| | ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტი | 17.05–7.06 2013წ. | 01.01–01.05 2013წ. |
| | გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი | 17.05–10.06 2013წ. | 01.01–01.05 2013წ. |
| | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | 17.05–10.06 2013წ. | 01.01–01.05 2013წ. |
| შპს ,,ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა | დამატებითი სამედიცინო დახმარების | 24.06–05.07 2013წ. | 01.01–01.06 2013წ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი” | კომპონენტი | | |
| | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | | |
| | გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი | 24.06–04.07. 2013წ. | 01.01–01.06 2013წ. |
| შპს ,,აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრი" | ,,რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი" | 11. 09. 2013წ. | 01.01.- 01.09.2013წ. |
| შპს ,,უნიმედ აჭარა’’ შუახევი | ,,გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი” | 17.09.2013წ. | 01.01.- 01.09.2013წ. |
| | ,,დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი“ | | |
| შპს ,,უნიმედ აჭარა’’ქედა'' | ,,გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი” | 25.09.2013წ. | 01.01.- 01.09.2013წ. |
| | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | | |
| შპს ,,უნიმედ აჭარა’’ხულო'' | ,,გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი” | 27.09.2013წ. | 01.01.- 01.09.2013წ. |
| | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | | |
| შპს ,,უნიმედ აჭარა’’ქობულეთი'' | ,,დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი“ | 16. 10.2013წ. | 01.01.- 01.09.2013წ. |
| | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შპს ,,უნიმედ აჭარა"ბათუმის რეფერალური საავადმყოფო | დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი<br>მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი<br>გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი | 22.10. - 30. 10. 2013წ. | 01.01–01.10 2013წ. |
| შპს ,,ქ. ბათუმის სამშობიარო სახლი" | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი<br>გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი | 5.11–18.11 2013 წ. | 1.01– 1.11 2013 |
| შპს ,,აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდეოლოგიის ცენტრი" | ,,რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი" | 2–3. 12.2013 წ. | 01.01.- 01.11.2013წ. |
| ააიპ ,,ჯო–ენის საელობის სამედიცინო ცენტრი | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი<br>,,რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი" | 4. 12. 2013 წ. | 01.01.- 01.11.2013წ. |
| შპს ,,ღია გული" | ,,რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი" | 3. 12. 2013 წ. | 01.01.- 01.11.2013წ. |
| შპს ,,კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი | მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემ თხვევებში სამედ. დახმ. კომპონენტი | 5. 12. 2013 წ. | 01.01.- 01.11.2013წ. |

## 3. სოციალური დაცვის დეპარტამენტი

სოციალური დაცვის დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

სოციალური დაცვის დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

სოციალური დაცვის დეპარტამენტში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, 1 დეპარტამენტის უფროსი და 4 მთავარი სპეციალისტი. დეპარტამენტის საქმიანობა მიმდინარეობდა წლიური სამუშაო გეგმისა და თანამშრომლების ფუნქციების და მოვალეობების შესაბამისად.

2013 წელს დეპარტამენტში შემოვიდა 1 455 განცხადება და წერილი, მათ შორის 141 განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ქულების გადამოწმების თაობაზე; 13 განცხადება - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების და პენსიის დანიშვნის თაობაზე, 21 - მატერიალური დახმარების თხოვნით, 31 განცხადება საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ, 55 განცხადება სახელმწიფო და სხვა დაზღვევით სარგებლობის თაობაზე. 14 საჩივარი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიასა და სამედიცინო დაწესებულებაზე. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, მუნიციპლიტეტების გმგეობებიდან და სამკურნალო დაწესებულებებიდან მიღებულია 26 განცხადების პასუხი.

სოციალური დაცვის დეპარტამენტი ახორციელებდა სოციალური დაცვის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვას და მონიტორინგს.

„100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში 58 მოქალაქეს გადაეცა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით, მათ შორის ქ. ბათუმში - 9, ქობულეთში - 13, ხელვაჩაურში - 4, ქედაში - 9, შუახევში - 9, ხულოში - 14.

„ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია 244 ბავშვს (ქ. ბათუმი - 123, ქობულეთი - 85, ხელვაჩაური - 59, ქედა - 8, შუახევი - 9, ხულო - 9). გაიცა 711 ვაუჩერი, მათ შორის სხვადასხვა მიზეზებით სამინისტროში დაბრუნდა 12 ვაუჩერი. დაფინანსდა რეაბილიტაციის 699 კურსი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადასაადგილებელი საშუალებით - სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში შემოსულია 110 განცხადება, 5 მოქალაქის განცხადება არ დაკმაყოფილდა. გაიცა 106 ვაუჩერი, სამინისტროში დაბრუნებული იქნა 4 ვაუჩერი, 1 ვაუჩერი ბენეფიციარს არ გაუტანია სამინისტროდან, 1 ბენეფიციარზე ვაუჩერის ვადის გასვლის გამო გაიცა ახალი ვაუჩერი.

გაცემულია 100 სავარძელ-ეტლი. ქ. ბათუმი - 32, ქობულეთი - 29, ხელვაჩაური - 25, ქედა - 5, შუახევი - 4, ხულო - 5.

„სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტის" ფარგლებში შემოსულია 234 განცხადება, 33 მოქალაქის განცხადება რ დაკმაყოფილდა. გაიცა 198 ვაუჩერი, 1 ვაუჩერი ბენეფიციარს არ გაუტანია სამინისტროდან. 197 ბენეფიციარზე გაცემულია 200 სმენის აპარატი. ქ. ბათუმი - 86, ქობულეთი - 25, ხელვაჩაური - 33, ქედა -14, შუახევი - 15, ხულო -24.

„სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი"- 2013 წელს ფუნქციონირებდა 183 თემის სამედიცინო პუნქტი (ქობულეთი - 29, ხელვაჩაური - 31, ქედა - 39, შუახევი - 38, ხულო - 46), სადაც დასაქმებულია 227 მედდა (ქობულეთი - 46, ხელვაჩაური - 7, ქედა - 39, შუახევი - 45, ხულო - 50). კომპონენტით გათვალისწინებულია მედდების შრომის ანაზღაურება, პუნქტების მომარაგება მედიკამენტებით და გლუკომეტრის ტესტ-ჩხირებით.

„მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მატერიალური წახალისების კომპონენტის" ფარგლებში 39 ექიმსა და მედდაზე გაიცემოდა დამატებითი შრომის ანაზღაურება, ქედა - 11, შუახევი - 13, ხულო - 15.

„მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტის" ფარგლებში 11 ბენეფიციარი - 5 დედა და 6 ბავშვი უზრუნველყოფილი იყო თავშესაფრით.

დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარდა პროგრამების მონიტორინგი 2013 წლის სოციალური დაცვის პროგრამების ინსპექტირების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად: „ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტი" - მარტი, ივლისი, სექტემბერი, დეკემბერი; „100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების კომპონენტი" - მარტი, ივნისი, ნოემბერი; „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი" - თებერვალი, მარტი, მაისი, ივლისი, სექტემბერი, ნოემბერი; „მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მატერიალური წახალისების კომპონენტი"- ივლისი, სექტემბერი, ნოემბერი; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადასაადგილებელი საშუალებით - სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის კომპონენტი" - მაისი, აგვისტო, დეკემბერი; „სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი" - მაისი, აგვისტო, დეკემბერი; „მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი" - ივნისი, აგვისტო, დეკემბერი.

დეპარტამენტი მონაწილეობდა სამინისტროს სტრატეგიული გეგმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში; სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავებაში; 2014 წლის სოციალური დაცვის პროგრამების პროექტების მომზადებაში.

სოციალური დაცვის დეპარტამენტი თანამშრომლობდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოქალაქეთა რეგისტრაციის, სოციალური დახმარების მიღების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების და საპენსიო უზრუნველყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის საკითხებში, დეპარტამენტის თანამშრომლებს ჰქონდათ სისტემატიური კონტაქტი სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალთან.

დეპარტამენტი თანამშრომლობდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან პროგრამების მოსარგებლეთა კრიტერიუმების ფორმულირებისა და მისაწოდებელი დახმარების ვარიანტების შემუშავების მიზნით; უწევდა მეთოდურ დახმარებას მუნიციპალიტეტების ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურებს მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში.

დეპარტამენტი თანამშრომლობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრ "თანასთან", მონაწილეობდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებების ჩატარებაში; არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომასთან" ჰეპატიტებით დაავადებული პაციენტების მკურნალობაში დახმარების, არასამთავრობო ორგანიზაცია "სთეფ ფორვარდთან" აბსოლუტური სმენაჩლუნგობის მქონე ბავშვების კოხლეარული იმპლანტანტებით უზრუნველყოფის საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „არტვეისთან" და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ბათუმის განყოფილებასთან უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის საკითხებზე.

## 4. სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 08 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებით

დეპარტამენტში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, მათ შორის დეპარტამენტის უფროსი - 1, მთავარი სპეციალისტი -3;

სამინისტროს ახალი სტრუქტურული ერთეულის მედიაციის სამსახურის ცნობადობის ამაღლების, ძირითადი დანიშნულებისა და მოვალეობის გაცნობის მიზნით ქ. ბათუმსა და მუნიციპალიტეტების გამგეობებში მოაწყო საინფორმაციო-სარეკლამო აქცია. აქციის ძირითადი ამოცანა იყო დახმარება გაგვიწია სადაზღვევო ურთიერთობის დროს სუბიექტებს შორის წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. სადაზღვევო ურთიერთობიდან გამომდინარე მოეწყო შეხვედრები სამედიცინო დაწესებულებებში

სამედიცინო პერსონალთან, სამედიცინო დაწესებულებებში საინფორმაციო დაფებზე განთავსდა სარეკლამო პოსტერები.

ყველა მუნიციპალიტეტის გამგეობებში მოსახლეობას დაურიგდა ბუკლეტები მათთვის საჭირო ინფორმაციითა და სამინისტროში მოქმედი ,,ცხელი ხაზი“–ს მითითებით. ნებისმიერი გაუგებრობის შემთხვევაში მათ შორის დაზღვევასთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით პაციენტებს ან სხვა დაინტერესებულ პირს (გამოსასვლელ დღეებშიც) შეეძლოთ ნებისმიერ დროს შესაბამისი ინფორმაციისა და დაკვალიანების მიზნით მოემართათ სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტის უფროსისთვის ან მინისტრის მოადგილისთვის.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტს მოგვმართა 3157 მოქალაქემ. მათ შორის ,,ცხელ ხაზზე“ სატელეფონო შეტყობინებით 977 მომართვა დაფიქსირდა, სამსახურმა შეისწავლა 208 წერილობითი მომართვა. ყველა მომართვა კონსულტირებულია და შესაბამისად გაცემულია კვალიფიციური პასუხი. 1060 მომართვაზე ბენეფიციართა მიერ მზღვეველ კომპანიებში შეივსო საპრეტენზიო ბარათი მათ შორის 902 მომართვა დეპარტამენტის შუამდგომლობით მოგვარებულია, ხოლო 158 მომარვა ვერ დაკმაყოფილდა და შემდგომი რეაგირებისატვის გადაიგზავნა ქ. თბილისში სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურში.

2014 წლის სამუშაო პერიოდში სახელმწიფო პროგრამის მონაწილეს მათ შორის: სოციალურად დაუცველ მოქალაქეს და პედაგოგს მიეწოდა სრული ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიასთან საკუთარი უფლებებისა და კუთვნილი მომსახურების შესახებ, აღნიშნული მომართვებზე რეაგირება ჩვენი მხრიდან საკონსულტაციო სახის იყო და დაინტერესებული პირების მაქსიმალურად ინფორმირებას ისახავდა მიზნად. სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი ყოველი თვის 15 რიცხვისათვის მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისაგან მოიპოვებდა ინფორმაციას კლინიკების მიმართ სადაზღვევო კომპანიების დავალიანების თაობაზე. ასევე 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით რეგიონში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში მედ-პერსონალის მიმართ სახელფასო დავალიანებების თაობაზე. ამ მხვრივ მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს სამსახურის აქტიური თანამშრომლობა როგორც კლინიკებთან ისე სადაზრვევო კომპანიებთან, რამაც ხელი შეუწყო ძველი დავალიანებების მართვას.

დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობდნენ სამედიცინო დაწესებულებებში საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით გათვალისწინებული ,,სახელმწიფო დაზღვეულთა მომსახურების წესისა და ნაკადების მართვაში“ ხელშეწყობისათვის

დეპარტამენტი მონაწილეობდა სამინისტროს სტრატეგიული გეგმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში; სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავებაში; 2013 წლის სოციალური დაცვის და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამების პროექტების მომზადებაში.

პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით სამინისტროს მედიაციის დეპარტამენტი ახორციელებდა სისტემატურ ინსპექტირებას ქ. ბათუმში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში და ამბულატორიებში ამდენად მედიაციის სამსახური ორიენტირებული არა მხოლოდ უკვე ფიქსირებულ შემთხვევებზე არემედ ამ შემთხვევების თავიდან აცილების მიზნითაც ახორციელებდა შესაბამის ქმედებებს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო სექტორსა და კლინიკებს შორის მუშაობა გამართული იყოს, რაც მომსახურების ხარისხზე აისახება. ამ მიმართებით ხარვეზები და ხელოვნური ბარიერები მას შემდეგ უფრო აქტუალური გახდა, როცა ამბულატორიულ მომსახურებაზე ქალაქ ბათუმში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სს სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგი ბისიაი“-თან გაფორმებული ხელშეკრულებები დაირღვა.

ხელშეკრულების გაწყვეტამდე დაზღვეულები უბნის მიხედვით პოლიკლინიკებზე გადანაწილებულები იყვნენ იმგვარად, რომ დაცული იყო ამბულატორიული მომსახურების მოთხოვნა და დროული სრულფასოვანი მიწოდება. დაცული იყო გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპები. მათ შორის ქ. ბათუმში უზრუნველყოფილი იყო ამბულატორიული სერვისების მიწოდება მოსარგებლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. ამ ეტაპზე დაზღვეულ პაციენტთა ნაკადის მართვა ჩემი ოჯახის კლინიკასა და ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში სათანადოდ ვერ არის უზრუნველყოფილი. თვალსაჩინოა ოჯახის ექიმთან შეუთანხმებელი მუშაობა, სახეზეა კომუნიკაციის ნაკლებობა სუბიექტებს შორის, რის გამოც დაზღვეული პაციენტები უფრო ზარალდება. დეპარტამენტში დაზღვეული პენსიონერი მოსახლეობის 300- დე მომართვა ფიქსირდება. აღნიშნულის შესახებ წერილები გაგზავნილია სს სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგი ბისიაი“-ში და საკითხი დასმულია სს სამედიცინო მედიაციის სამსახურის წინაშე.

სამინისტროს მედიაციის სამსახური ადვოკატირებას უწევს ყველა იმ მოქალაქეს, რომელთა უფლებები დაირღვა სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ურგენტულ–გეგმიურ და სხვა სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის დროს წარმოქმნილი გაუგებრობისა და ბარიერების დროს. ამ მიმართებით ჩვენი მიმართვის საფუძველზე, რომელიც რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძოდ სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ სს სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგი ბისიაი“-ს მხრიდან სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულების საკითხს კომპეტენციის ფარგლებში სწავლობს ,,სამედიცინო მედიაციის სამსახური“ყველა კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა და დასრულებისთანავე შედეგები ეცნობება სამინისტროს

პრობლემატურ საკითხად რჩება №№165;218 საქართველოს მთავრობის დადგენილებებით მოსარგებლე ბენეფიციარების სახელმწიფო დაზღვევის საკითხები, არსებული წესის თანახმად იმ მოქალაქეებზე, რომლებზეც 2013 წლის 01 მარტამდე ვერ მოხერხდა დაზღვევის პოლისის გაცემა (ჩაუბარებლობის გამო) რჩებიან სახელმწიფო

საყოველთაო პროგრამის მოსარგებლეებად (შეზღუდული სამედიცინო პაკეტით) რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით მოსარგებლე პაციენტების გეგმიურ ქირურგიული მომსახურების ხარჯების 30% თანაგადახდასთან წარმოქმნილ სირთულეებთან დაკავშირებით, რაც სამედიცინო სერვისების მიწოდებულთა მიერ გეგმიური ქირურგიული სამედიცინო მომსახურების ფასებიდან არის გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით საკითხი გვარდება და პროპორციები 70%-30% სრულად იქნება დაცული პროგრამაში ჩართულ სერვისის მიმწოდებელ ნებისმიერ დაწესებულებაში. (ამ ეტაპისთვის ეს საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია)

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის II ეტაპის ამოქმედებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მომართვიანობა შესაბამისად ამ მიმართებით მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისათვის რეგიონში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში განთავსდა სარეკლამო პოსტერები ასევე მოსახლეობაში დარიგდა ბუკლეტები სადაც დეტალურად გაწერილია პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული, სტაციონარული სხვა მომსახურების თაობაზე. დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ დროს შესალებლობა აქვთ დეტალური ინფორმაციისათვის დარეკონ ,,ცხელ ხაზზე“ ქ. თბილისში 1505 ან ქ. ბათუმში 24-79-72. ასევე არსებული სირთულის ან გაურკვევლობის შემთხვევაში მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტის უფროსს ან მინისტრის მოადგილეს.

დაზღვევის სახელმწიფო პოლისის სხვადასხვა მიზეზის შეჩერების გამო, რაც შესაბამის საფოსტო განყოფილებების მიერ მიღება-ჩაბარების პროცედურების გამო ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ტექნიკურ ხარვეზებთან იყო დაკავშირებული, სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურსიდან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, შუამდგომლობები მიღებულია და მიმდინარეობს აღნიშნული საკითების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

რაც შეეხება 0-6 წლამდე ასაკის ბავშთა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის საკითხებს, რომელთა ოჯახები 2013 წლის 01 სექტემბრიდან არ განეკუთვნება საქართველოს მთავრობის 218-ე დადგენილების ბენეფიციარებს მათ შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის სახემწიფო დაზღვევა შესაბამისად საქართველოს მთავრობის 165-ე დადგენილების ფარგლებში ან ისარგებლებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.

სადაზღვევო კომპანიების ,,ალდაგი”, ,,არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ და სს ,,აისი ჯგუფი“-მიერ არსებული ფინანსური დავალიანებების გამო შპს ,,აჭარის ონკოლოგიის ცენტრი“-ის და ინფექციური საავადმყოფოს წერილთან დაკავშირებით სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურს გაეგზავნა სარეკომენდაციო-შუამდგომლობითი წერილი, რაც უკვე წარმოებაშია და მიღებული ინფორმაციით მიმდინარე პერიოდისთვის გვარდება.

სხვა მომართვები აგრეთვე შეეხებოდა ქ. ბათუმში მცხოვრებ ასაკის პენსიონერთა და უნარშეზღუდულ მოქალაქეთა ამბულატორიული მომსახურების მიღებისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შეზღუდვების საკითხს, ასევე დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმიურ ქირურგიული ოპერაციული მკურნალობის ვადებში გაჭიანურების საკითხებს, დაზღვეული პაციენტების მიერ შერჩევით სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ჩატარების მოთხოვნის საკითხებსა და თერაპიული პროფილის გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების შემთხვევებს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური კუთხით სამინისტროს სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი ჩართული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 11 დეკემბრის №310 ბრძენების შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკაში დიდთოვლობასთან დაკავშირებით საკოორდინაციო კომისიაში, სადაც კოორდინაციას უწევდა კომისიაში შემოსულ ჯანმრთელობისა და სოციალური ხაზით შემოსულ მომართვებს, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ კრიზისთან დაკავშირებით ქ. ბათუმში და მუნიციპალიტეტებში პაციენტების ნაკადების მართვასთან პრობლემები არ შექმნილა ხოლო სამედიცინო დაწესებულებების სრულად და მომზადებულებათ შეხვდნენ აღნიშნული კრიზისიდან გამოწვეულ პრობლემებს. რაც ასევე არაერთხელ აღინიშნა.

## 5. იურიდიული დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების შესაბამისად, რომლითაც დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს:

- სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და მათი სა-მართლებრივი ექსპერტიზა;
- სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური და ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტების შესაბამისობის დადგენა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან;
- კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან, სამინისტროს სისტემის დაწესებულებებიდან, სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტში შემოსული კორესპოდენციის (წერილი, განცხადება, მიმართვა, საჩივარი და სხვა) განხილვა და შესაბამისი პროექტების მომზადება;

- სამინისტროს ხელმძღვანელობის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების თაობაზე;
- სამინისტროს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში.
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

დეპარტამენტში დასაქმებული იყო 3 ადამიანი - დეპარტამენტის უფროსი და 2 მთავარი სპეციალისტი. მინისტრის ბრძანებით დეპარტამენტის ერთერთი თანამშრომელი დანიშნულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად.

დეპარატამენტი მუშაობდა დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მზადდებოდა ანგარიში თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა შორის განაწილებული იყო ფუნქცია/მოვალეობანი.

დეპარტამენტმა სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებთან ერთად მოამზდა სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებით მთავრობის განკარგულებებისა და მინისტრის ბრძანებების პროექტები. მათი მიღების მიზნით უზრუნველყო აღნიშნული პროექტების უფლებამოსილ ორგანოებთან წარდგენის ორგანიზება. 2013 წლის განმავლობაში 7 -ჯერ წარმოიშვა სამინისტროს მიზნობრივ პროგრამებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რის გამოც მომზადა შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები განმარტებით ბარათებთან ერთად.

სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ-აჭარის ა/რ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიზნობრივი პროგრამების პროექტებმა, რის მიღებასთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი განკარგულებისა და განმარტებითი ბარათის პროექტები. აღნიშნულ პროგრამებში წლის განმავლობაში 2-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილება.

მონაწილეობა მიიღო სამინისტროს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და დასაქმების სააგენტოს 2014 წლის პროგრამების პროექტების მომზადებაში.

შემუშავდა სამინისტროს ახალი დებულება, ასევე, შეტანილი იქნა ცვლილებები სამინისტროსა და დასაქმების სააგენტოს დებულებებში, შესაბამისად, მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი.

დეპარტამენტში შემოსულ განცხადება-საჩივრებთან დაკავშირებით დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზება და შესაბამისი აქტების პროექტების მომზადება.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური დახმარების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მომზადდა მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების პროექტი. ასევე, მომზადდა აჭარის ა/რ

რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების პროექტები (26 პროექტი) - გარკვეული კატეგორიის მოქალაქეების სამედიცინო დახმარების გაწევის, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 2008 წლის ომში დაღუპულთა დედებისა და მეუღლეების, 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ტერიტორიაზე რუსული აგრესიის შედეგად განვითარებული საომარი მოქმედების ოთხი წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ დაღუპულთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარებების გაწევის მიზნით.

მომზადდა მინისტრის 194 ბრძანების პროექტი, აქედან 37 საკადრო, ხოლო 157 ორგანიზაციული ხასიათის.

მომზადდა შრომითი ხელშეკრულებებისა და მათში ცვილებების შეტანის შესახებ შესაბამისი პროექტი (12 პროექტი) .

მონაწილეობდა მემორანდუმის პროექტების მომზადებაში.

უზრუნველყო სამინისტროში საჯარო მოხელეთა ატესტაციისა და კონკურსის ჩატარების ორგანიზება, შესაბამისად, მომზადდა სათანადო სამართლებრივი აქტების პროექტები.

2013 წლის განმავლობაში სამინისტროს სახელით მონაწილეობდა ელზა ქოიავას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესში, საქართველოს უზენაესს სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აპელანტის მოთხოვნა სამინისტროს მიმართ არ დაკმაყოფილდა. ასევე, იცავდა სამინისტროს ინტერესებს პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ა (ა) ი პ - საქართველოს ახალგაზრდა იურსიტთა ასოციაციისა და ა (ა) ი პ - სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სარჩელთან დაკავშირებით (სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა).

2013 წელს სამინისტროში შემოსული იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 21 განცხადება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დროულად იქნა გაცემული. 2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სამინისტრო დაჯილდოვდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ. 2013 წლის 10 დეკემბრის ანგარიში წარედგინათ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრსა და სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს. პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის მომზადდა შესაბამისი ინფორმაცია. განხილული და შესაბამისი პასუხების პროექტები მომზადდა დეპარტამენტში შემოსულ 200-მდე წერილსა და 135-მდე განცხადებაზე.

მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს სახელით გასაფორმებელმა ხელშეკრულებების პროექტებმა.

სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და დასაქმების სააგენტოს მიერ შემუშავებულმა სხვადასხვა აქტებმა.

სისტემატიურად შესაბამისი კონსულტაცია ეწეოდა სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებს, სამედიცინო დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს, ასევე დაინტერესებულ სხვადასხვა ფიზიკურ და იურდიულ პირებს.

ხდებოდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მიღებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვა, სამინისტროს საერთო ქსელში განთავსება და აღნიშნულის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება.

მონაწილეობას იღებდა სამინისტროს სახელით სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან დაგეგმილ შეხვედრებში, სამინისტროში მოქმედი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში;

დეპარტამენტი ასრულებდა ასევე სამინისტროს ხელმძღვანელობის ცალკეულ დავალებებს.

## 6. ბიუჯეტის დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი

დეპარტამენტში თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების" მოთხოვნათა შესაბამისობაში.

დეპარტამენტში დასაქმებულია 5 თანამშრომელი. დეპარტამენტის უფროსი - 1 მთავარი სპეციალისტი - 4.

დეპარტამენტში შემუშავებულია წლიური სამუშაო გეგმა, ასევე მზადდება შესაბამისი ანგარიშები თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

თანამშრომლებს შორის განაწილებულია ფუნქცია მოვალეობები და პასუხისმგებლობები საქმიანობის სფეროში.

დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობაა ბიუჯეტის დაგეგმვა, ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტების მომზადება. საბიუჯეტო ხარჯების თვიური და კვარტალური განწერა. სამინისტროს სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფინანსურად გაწერა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ

იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

საქართველოს კანონის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XVI თავის, 98-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე დადგენილ ვადებში მომზადდა სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი. წლის განმავლობაში მომზადდა ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები, განხორციელდა დამტკიცებული ბიუჯეტის თვიური და კვარტალური განწერა, ბიუჯეტის ხარჯების ასახვა გეგმების, ხელშეკრულებების, ვალდებულებების, მოთხოვნების, ბუღალტრულ სპეციალიზირებულ პროგრამაში. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მოთხოვნებიდან გამომდინარე მომზადდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტი.

2013 წლის განმავლობაში განხორციელდა 625 შესყიდვა და გაფორმებულია ხელშეკრულებები

მათ შორის სახელმწიფო შესყიდვა - 108

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - 16

გამარტივებული შესყიდვა - 92

არასახელწიფო შესყიდვა - 517

აქედან:

რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურებაზე - 9

მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების მომსახურებაზე - 87

დამატებითი სამედიცინო მომსახურებაზე - 12

ონკოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე - 64

გეგმიურ სამედიცინო მომსახურებაზე - 39

ბავშვთა ფსიქოსომატური სამედიცინო მომსახურებაზე - 36

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მომსახურებაზე - 1

სხვა - 269

გაფორმებულია შეთანხმებები ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კვარტალური ანგარიშები დადგენილ ვადებში წარდგენილია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. კონსოლიდირებული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებები, ასევე ხელშეკრულებასთან გათანაბრებული დოკუმენტები დადებიდან 10 დღის ვადაში სააგენტოს წარედგინა სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით. ასევე ნებისმიერი საშუალების შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ფაქტობრივი გადახდების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადგენილ ვადებში.

დეპარტამენტში განიხილება საქვეუწყებო დაწესებულებების საბიუჯეტო განაცხადები, მიზნობრივი პროგრამების პროექტები.

დეპარტამენტში შემოსული ყველა კორესპონდენცია განხილულია დადგენილ ვადებში. მომზადებულია მათი პასუხები.

## 7. დევნილთა და განსახლების დეპარტამენტის მიერ

მოგახსენებთ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეულმა სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, 2013 წ. დროებითი საცხოვრებლით (ქირით) უზრუნველყოფისა და საცხოვრებელი სახლების აღდგენა/რეაბილიტაციის/გადატანის მიზნით, რეგიონის ფარგლებში დახმარება გაეწია სტიქის შედეგად დაზარალებულ 82 ოჯახს. აღნიშნულისათვის აჭარის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 568 122 ლარი.

| № | მუნიციპალიტეტი | თანხა | ოჯახი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაური | 139285 | 21 | მიწისძვრა, 32400 ლარი ქირის თანხა (9 ოჯახი) |
| 2 | ქედა | 42329 | 6 | |
| 3 | შუახევი | 67208 | 8 | |
| 4 | ხულო | 80000 | 9 | |
| 5 | ქობულეთი | 231300 | 37 | მიწისძვრა, 81300 ლარი ქირის თანხა (22 ოჯახი) |
| 6 | ქ. ბათუმი | 8000 | 1 | |

სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

| | | | |
|---|---|---|---|
| სულ | 568122 | 82 | 13700 |

რეგიონში სტიქიის შედეგად დაზარალებული 3762 ოჯახია, რომელთა სახლები დაზიანების ხარისხის მიხედვით 4 კატეგორიაშია გადანაწილებული.

I - კატეგორიას მიეკუთვნება 142 ოჯახი. სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია სტიქიური მოვლენების შედეგად.

II- კატეგორიას მიეკუთვნება - 136 ოჯახი, სახლი არ არის დანგრეული მაგრამ დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად და საცხოვრებლად გამოუსადეგარია (საცხოვრებელი სახლი აღდგენას არ ექვემდებარება).

III- კატეგორიას - 1217 ოჯახი, ( სახლი დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ, სახლი აღდგენას ექვემდებარება)

IV- კატეგორიას - 2267 ოჯახი, (სახლი საცხოვრებლად ვარგისია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეულმა სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, რეგიონში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა ბუნებრივი მოვლენების, ანთროპოგენული და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შედეგად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებული 163 ოჯახი, აქედან:

| მუნიციპალიტეტი | I-კატეგორია | II-კატეგორია | III-კატეგორია | IV-კატეგორია | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ხულო | **6** | **77** | **105** | **942** | **1130** |
| შუახევი | **–** | **7** | **247** | **280** | **530** |
| ქედა | **4** | **48** | **216** | **315** | **583** |
| ხელვაჩაური | **49 მ.შ (21 მიწისძვრა)** | **4** | **161** | **187** | **401** |
| ქობულეთი | **83 მ.შ. (30 მიწისძვრა)** | **–** | **488** | **543** | **1114** |
| სულ | **142** | **136** | **1217** | **2267** | **3758** |

- შუახევის ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტირებულ შენობაში შესახლდა - 37 ოჯახი;




- ქედის ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტირებულ შენობაში შესახლდა - 52 ოჯახი;




- თამარის დასახლებაში არსებულ სახლში უნდა შესახლდეს (ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან) 74 სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი.




რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ირგვლივ არსებულ საკითხებს: 2013 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 5718 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. აქედან ქ. ბათუმში-3 492 პირი, ხელვაჩაურში-715 პირი, ქობულეთში-1511 პირი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, 2013 წლის 1 აგვისტოდან 27 დეკემბრის ჩათვლით ყველა სტატუსის მქონე დევნილის ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო. აჭარის რეგიონში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებული პირთა ოჯახებისათვის რეგისტრაცია განხორციელდა 18 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით, რაც უზრუნველყოფს სამინისტროში დევნილთა შესახებ ინფორმაციის განახლებას და მონაცემთა ბაზის მაქსიმალურ სრულყოფას.

მოგეხსენებათ, დაწყებულია დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პროცესი, რაც ქვეყნის მასტაბით ხორციელდება.

ამჟამად ქ. ბათუმში, ყოფილი ბ.ნ.ქ.–ის ტერიტორიაზე, ახალაშენებულ კორპუსებში მიმდინარეობს არსებულ პირველ სართულზე 48-მდე კომერციული ფართების საცხოვრებელ ბინებად გადაკეთება, რომელთა გადაცემა იგეგმება სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებისათვის, რომლებსაც დღემდე სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ მიუღია.

2013 წელს ქ. ბათუმის მერიამ ამავე ტერიტორიაზე გამოყო მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია დამატებით 30 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.

2013 წლის იანვრის თვიდან დეპარტამენტი ჩართული იყო პროექტ ”დროებითი საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში”, სადაც ბათუმის მერიისა და შვეიცარიის თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით შემოწმებულ იქნა 60-მდე იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქე სამომავლოდ მათთვის საცხოვრებელი პირობების გადაწყვეტის მიზნით. დღეისათვის, კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ფართში უკვე ცხოვრობს 5 დევნილი და 7 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მოვლენილ ჯგუფთან ერთად პარალელურ რეჟიმში განხორციელდა ე.წ. კომპენსირებული დევნილი ოჯახების აღრიცხვა-რეგისტრაცია და პრობლემური ოჯახების სიების შედგენა შემდგომში მათი საკითხების განსახილველად, ასევე აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობით მოხდა ქ. ბათუმის ახალ დასახლებაში აფხაზეთის ქუჩაზე მცხოვრებ იმ დევნილი ოჯახების აღრიცხვა

რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული დევნილთა ახალი მოწმობები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საპროექტო ბიუროს თანამშრომლებთან ერთად, მოხდა ყველა რეაბილიტირებული ობიექტის აზომვითი ნახაზების შედგენა სამინისტროში გადაგზავნის მიზნით, რის საფუძველზეც დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება ხორციელდება.

გარკვეული პრობლემებია ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსთა სარდაფებში წყლების დაგროვების გამო, რომელთა ნაწილი გადაწყვეტილ იქნა. კერძოდ, სარდაფიდან ამოტუმბულ იქნა წყლები, თუმცა დღესაც არსებობს პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ.

უშუალოდ დეპარტამენტის ხელშეწყობით მოგვარდა ყოფილი ,,ნარკოლოგიური ცენტრის“ სასმელი წყლის პრობლემა, სადაც სამშენებლო კომპანიის მიერ შეძენილ იქნა საქაჩი ტუმბოები ზემოთხსენებული პრობლემების მოგვარების მიზნით.

განვახორციელეთ ვიზიტები სოციალურად ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფ დევნილ ოჯახებთან, რომლებსაც გადაეცათ საკვები პროდუქტები.

დევნილი მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული საადვოკატო მომსახურების მიზნით, დეპარტამენტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი უფლებადამცველ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირთან“, რაც დადებითად იქნა აღქმული ზემოთ მითითებულ კონტინგენტში და დღემდე სარგებლობენ შეთავაზებული სერვისით.

განყოფილების თანამშრომლების მიერ, მუდმივად ხორციელდება კომპაქტური განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებთან შეხვედრები, მათი ყოფითი პირობების შესწავლა ამ კონტინგენტში შესაძლო წარმოქმნილ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, სათანადო წინადადებების მომზადება და კომპეტენტური ორგანოებისათვის მიწოდება მათი გადაწყვეტის მიზნით. სისტემატურად ხორციელდება: მოქალაქეების ყოველდღიური მიღება მათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, განცხადებებისა და წერილების განხილვა, პასუხების მომზადება და ადრესატებისათვის გაგზავნა. შუამდგომლობების მომზადება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი დევნილთათვის პირველადი სტატუსის, დევნილთა მოწმობების დუბლიკატების დამზადების, ერთჯერადი ფინანსური დახმარებისა და სხვა პრობლემური საკითხების თაობაზე.

## VIII სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მუშაობა

# სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს - გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, ვაქცინოპროფილაქტიკის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ანტირაბიულ ღონისძიებათა ზედამხედველობასა და ხელშეწყობას, მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, სარისკო ქცევებისა და დაავადებათა პრევენციის საკითხებზე მოსახლეობაში საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებას, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობასა და დამხმარე ზედამხედველობას ვაქცინოპროფილაქტიკისა და გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობის საკითხებზე, სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟსა და სწავლებას ინფექციური კონტროლის საკითხებზე.

ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი (ფულადი ფორმით), ძირითადი მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად შეადგენს 660 400 ლარს, მათ შორის 259 900 ლარი პროგრამული ბიუჯეტი, პროგრამა ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილქტიკა“.

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2013 წლისათვის

| ღონისძიება | გეგმა | შესრულება |
|---|---|---|
| ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი | 660 400 | 647 461 |
| აპარატის ხარჯები | 381 360 | 377 359 |
| მიზნობრივი პროგრამა – დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა | 259 900 | 251 614 |
| ქვეპროგრამა– ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა | 71 480 | 67 132 |
| ქვეპროგრამა– მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) | 188 420 | 184 482 |

| | | |
|---|---|---|
| *ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა* | *19 140* | *18 488* |

გარდა ამისა, ცენტრს შესასრულებლად ნატურალური ფორმით მიღებული აქვს
486 157 ლარის მედიკამენტები, ასაცრელი და სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები და ძირითადი აქტივები.

2013 წლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცა და ცენტრის მიერ აღირიცხა ინფექციური დაავადების 17 214 შემთხვევა. მათ შორის ქ.ბათუმში
9 146 შემთხვევა, ხელვაჩაური 3 162 შემთხვევა, ქობულეთში 3 749, ქედაში 533, შუახევში 259, ხულოში 365.

**გადმადებ დაავადებათა ავადობის დინამიკა**
**აჭარა, 2000-2013 წწ**



| | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 წლამდე | 3521 | 1258 | 2048 | 2946 | 3417 | 10614 | 12251 | 13356 | 14477 | 23688 | 26644 | 25694 | 18784 | 8823 |
| 14 წელზე მეტი | 2479 | 2871 | 2370 | 5915 | 4089 | 8478 | 7133 | 8346 | 8204 | 16363 | 14945 | 18532 | 9886 | 8391 |

2013 წლის მონაცემთა (17 214) შედარებით გასული წლის იმავე პერიოდთან (28 670) აღინიშნება გადამდებ დაავადებათა რიცხვის კლება, რაც პირველ რიგში განპირობებულია ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა შეტყობინების, ანგარიშგებისა და ეპიდკვლევის გარკვეულ ნოზოლოგიათა და მდგომარეობათა

ცვლილებებით - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანება ,,სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ". ბრძანების შესაბამისად შეტყობინება/ანგარიშგების სისტემიდან ამოღებულ იქნა მწვავე რესპირატორული ინფექციები, გრიპი და გრიპისმაგვარ დაავადებათა ჰოსპიტალური შემთხვევები, რაც აღნიშნულ პერიოდამდე განაპირობებდა სისტემაში მოქცეულ დაავადებათა მაღალ რიცხვს. ეპიდზედამხედველობის სისტემაში კი მოექცა ტუბერკულოზი, სიფილისი, გონორეა.

გადამდებ დაავადებათა შემთხვევების ხვედრითი წილი 14 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შეადგენს საერთო რაოდენობის 51%, რაც შეესაბამება 8823 შემთხვევას.

**ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა** აჭარისათვის შეადგენს 4371. აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში და ქალაქ ბათუმში. აღნიშნული მაჩვენებელი აჭარის საშუალო მაჩვენებელთან ახლოს არის - ქობულეთში, დაბალია - ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

**ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2013 წ**




გადამდებ დაავადებებათა ნაწილი ექვემდებარება ეპიდზედამდხედველობისა და კვლევის დაავადებისათვის სპეციფიურ რეჟიმს. ასეთი შემთხვევები რეგისტრირებულთა საშუალოდ 20%-ს შეადგენს (ბოლო 3 წლის მონაცემებით), 2013 წლისათვის სასწრაფო შეტყობინების წესით აღრიცხული 3778 შემთხვევიდან ეპიდემიოლოგიურ კვლევას დაექვემდებარა გადამდებ დაავადებათა 560 და ცოფზე საეჭვო ცხოველის მიერ დაზარალების 783 კერა, რისთვისაც განხორციელდა 1590 ვიზიტი.

**შემთხვევათა და კვლევათა განაწილება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, აჭარა, 2013 წ**

| ადმინისტრაციულ/ თერიტორიალური | რეგისტრირებულ შემთხვევათა საერთო (რ/ზა) | მ.შ. სასწრაფო შეტყობინება იქნა მიღებული | ეპიდკველევას დაექვემდებარა (ცოფის რისკის მქონე | განხორციელ ებული |
|---|---|---|---|---|

| ერთეული | | | შემთხვევაზე (რ/ზა) | | ექსპოზიციის ჩათვლით) | | ვიზიტები (ცოფზე საკომუნიკაც იო ვიზიტების ჩათვლით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რ/ზა | % საერთო რ/ზა-დან | რ/ზა | % მ.შ. | რ/ზა | % მ.შ. | |
| ბათუმი | 9146 | *53* | 1963 | *21* | 692 | *35* | 763 |
| ქობულეთი | 3749 | *22* | 985 | *26* | 396 | *40* | 434 |
| ხელვაჩაური | 3162 | *18* | 590 | *18* | 215 | *36* | 229 |
| ქედა | 533 | *3* | 84 | *15* | 9 | *11* | 67 |
| შუახევი | 259 | *2* | 80 | *30* | 21 | *26* | 63 |
| ხულო | 365 | *2* | 76 | *20* | 10 | *13* | 34 |
| აჭარა | **17214** | | **3778** | ***21*** | **1343** | ***36*** | **1590** |

ინფექციის წყაროს ან მტარებლობის იდენტიფიკაციის, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში დიაგნოსტიკის მიზნით ჩატარდა ლაბორატორიული სკრინინგი ან სკრინინგისათვის ადექვატური ნიმუშის აღება (მონაწილეობა) და რეფერალი, ამდენად ლაბორატორიული სკრინინგით მოცული იყო, როგორც კონტაქტირებული, ასევე დაავადებული პირები. ინფექციური კონტროლის ღონისძიებები პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკისათვის ძირითადად ანტიბიოტიკოპროფილაქტიკა.

- **ანტირაბიული ღონისძიებები**

მოსახლეობის ანტირაბიული მომსახურების საკითხში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის პრიორიტეტია რესპუბლიკაში ცოფის დაავადების გავრცელების მხრივ შექმნილი სიტუაციური ანალიზი, ანტირაბიული მომსახურების მონიტორინგი, იმუნობიოლოგიური პრეპარატებით მომარაგების მონიტორინგი, ანტირაბიული კაბინეტების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ანტირაბიულ მომსახურებაზე დასაქმებული სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟი.

2013 წლის განმავლობაში განმავლობაში ანტირაბიული დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 3294 პაციენტმა.

**პაციენტთა მიმართვიანობა რაიონების მიხედვით, აჭარა, 2007 –2013 წწ**




მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 550 საკომუნიკაციო ვიზიტი. ცოფზე საეჭვო კერაში 153, ვეტერინარულ სამსახურებში 397. კერაში ვიზიტისას გამოვლიდნენ ის პირებიც, რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფო პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობას. ანტირაბიული დახმარებისათვის მომართული ყველა პაციენტისათვის მომზადდა და გადაეცათ ანტირაბიული აცრების სამახსოვრო ბარათი.

### ცოფზე საეჭვო ცხოველის მიერ დაზარალების შემთხვევათა სერვისი აჭარა, 2013 წელი

| ადმინისტრაციულ/ ტერიტორიალური ერთეული | ვიზიტი ცოფზე საეჭვო ცხოველი მიერ დაზარალებულ კერაში, ვაქცინაციის შეწყვეტილ კერაში | ვიზიტი ვეტსამსახურში | ჯამი |
|---|---|---|---|
| ბათუმი | 82 | 74 | 156 |
| ქობულეთი | 48 | 197 | 245 |
| ხელვაჩაური | 15 | 0 | 15 |
| ქედა | 2 | 57 | 59 |
| შუახევი | 6 | 45 | 51 |
| ხულო | 0 | 24 | 24 |
| აჭარა | 153 | 397 | 550 |

2013 წლის განმავლობაში განმავლობაში დაიხარჯა 10597 კომპლექტი ანტირაბიული ვაქცინა და 1990 კომპლექტი ანტირაბიული იმუნოგლობულინი.

### მონაცემები ანტირაბიული დახმარებისათვის მომართვათა და გახარჯული მედიკამენტების გათვალისწინებით, აჭარა, 2011-2013წწ

| თვე | 2012 წელი | | 2013 წელი | |
|---|---|---|---|---|
| | მომართვა | პრეპარატის ხარჯი | მომართვა | პრეპარატის ხარჯი |

| | | ვაქცინა | IG | | ვაქცინა | IG |
|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი | 158 | 291 | 24 | 124 | 430 | 90 |
| თებერვალი | 184 | 285 | 26 | 143 | 493 | 72 |
| მარტი | 203 | 43 | 12 | 207 | 613 | 109 |
| აპრილი | 248 | 712 | 76 | 230 | 702 | 123 |
| მაისი | 251 | 870 | 51 | 309 | 935 | 135 |
| ივნისი | 273 | 886 | 95 | 294 | 948 | 238 |
| ივლისი | 329 | 1103 | 127 | 326 | 1031 | 182 |
| აგვისტო | 373 | 1112 | 112 | 461 | 1249 | 234 |
| სექტემბერი | 264 | 906 | 128 | 389 | 1298 | 184 |
| ოქტომბერი | 169 | 622 | 114 | 283 | 1035 | 223 |
| ნოემბერი | 181 | 618 | 98 | 261 | 917 | 217 |
| დეკემბერი | 110 | 469 | 71 | 267 | 946 | 183 |
| სულ | 2743 | 7917 | 936 | 3294 | 10597 | 1990 |

ცენტრის სპეციალისტების მიერ ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი დაზარალებულთა აღრიცხვის სრულყოფილებასა და სასწრაფო შეტყობინების დროულობაზე, პაციენტთა ვაქცინაციის სტატუსსა და ანტირაბიული მედიკამენტების მიღება-ხარჯვის სისწორეზე, ასევე მედიკამენტების შენახვის - ''ცივი ჯაჭვის'' პირობებზე.

იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფლება-მოვალეობებში განისაზღვრება ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალის ლოჯისტიკა, მიღება-ხარჯვის მონიტორინგი, ''ცივი ჯაჭვის'' მონიტორინგი, ვაქცინოპროფილაქტიკის მართვის ხელშეწყობა.

ამ მიზნით ცენტრმა მიიღო და ამცრელი უბნების (ფიზიკური/იურიდიული პირები) დონეზე გასცა ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალა, განახორციელა - ''ცივი ჯაჭვის'' ინვენტარიზაცია, ამცრელი უბნების დონეზე დამხმარე ზედამხედველობა და მონიტორინგი, ასევე ასაცრელი მასალის ხარჯვის მონიტორინგი.

**2013 წლის განმავლობაში შემოტანილი და გაცემული ასაცრელი მასალა და სხვა სახარჯი მასალა**

| ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალა | | მიღება | გაცემა |
|---|---|---|---|
| ჰიბ კომპონენტიანი პენტავალენტური ვაქცინა | ჰიბერიქსი | 18806 | 18 806 |
| წითელა/წითურა/ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა | MMR | 19130 | 19 115 |
| დიფთერია/ტეტანუსი/ყივანახველას საწინააღმდეგო ვაქცინა | DPT | 7380 | 7 880 |
| დიფთერია/ტეტანუსი საწინააღმდეგო ვაქცინა | DT | 6700 | 7 250 |
| ტეტანუსი/ დიფთერიას საწინააღმდეგო ვაქცინა (მოზრდილთათვის) | Td | 3830 | 4 720 |

| | | | |
|---|---|---|---|
| B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა | HB | 5410 | 5 550 |
| B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი | IG - HB | 121 | 161 |
| პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ორალური ვაქცინა | OPV | 21520 | 30 030 |
| ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა | BCG | 18420 | 17 060 |
| შპრიცები 0,5 მლ | | 50667 | 56 597 |
| შპრიცები 0,01 მლ | BCG | | |
| შპრიცები 2 მლ | | 25588 | 25 170 |
| შპრიცები 1 მლ | | | |

2013 წლის მონაცემებით მნიშვნელოვანი მიღწევებია სხვადასხვა ანტიგენით სამიზნე კონტინგენტის მოცვის საკითხში, რაც ვაქცინოპროფილაქტიკის საკითხებში ცენტრის ორგანიზაციული მხარდაჭერის შედეგიცაა.

**იმუნიზაციის 2013 წლის შედეგები ცალკეული ანტიგენისა და ადმინისტარციულ/ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით**

| ანტიგენი | ადმინისტრაციულ/ტერიტორიალური ერთეული | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუახევი | ხულო | აჭარა |
| hib | 95 | 91 | 100 | 93 | 100 | 94 | 95 |
| MMR-1 | 93 | 97 | 96 | 98 | 94 | 91 | 94 |
| DPT-R1 | 100 | 100 | 100 | 96 | 92 | 100 | 100 |
| MMR-2 | 85 | 80 | 100 | 98 | 93 | 94 | 90 |
| DT | 100 | 98 | 100 | 100 | 97 | 86 | 100 |
| Td | 62 | 88 | 92 | 99 | 95 | 87 | 80 |
| HB-0 | 85 | 90 | | 85 | 96 | 97 | 86 |
| BCG | 97 | 100 | | 86 | 93 | 100 | 97 |
| OPV-3 | 94 | 91 | 100 | 93 | 99 | 95 | 95 |
| OPV-R1 | 84 | 93 | 93 | 98 | 93 | 99 | 90 |
| OPV-R2 | 87 | 86 | 98 | 98 | 97 | 95 | 90 |

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ ჩატარდა-ვაქცინოპროფილაქტიკის, ეპიდზედამხედველობის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ხარისხის, ასევე აჭარის საჯარო და სხვა დაქვემდებარების სკოლებში ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადების მიერ 1-8 კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გასინჯვების მიმდინარეობის 911 მონიტორინგი.

**ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგი, 2013წ**

| № | მუნიციპალიტეტი | ვაქცინოპროფილაქტიკის–ეპიდზედამხეველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში | ეპიდზედამხედველობის–ადგილობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში | ,,მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) _ ქვეპროგრამის მონიტორინგი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | **100** | **101** | **30** | **231** |
| 2 | ქობულეთი | **89** | **45** | **31** | **165** |
| 3 | ხელვაჩაური | **109** | **37** | **23** | **169** |
| 4 | ქედა | **38** | **31** | **28** | **97** |
| 5 | შუახევი | **52** | **44** | **30** | **126** |
| 6 | ხულო | **71** | **29** | **23** | **123** |
| 7 | ჯამი | **459** | **287** | **165** | **911** |

ცენტრის მიერ განხორციელებული მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები მოიცავს პრევენციულ ღონისძიებებს მალარიის გადამტანის წინააღმდეგ. აჭარის რეგიონში 2013 წელს დაფიქსირდა მალარიის ლაბორატორიულად დადასტურებული 1 შემთხვევა. შემთხვევა იყო შემოტანილი. დაავადების სპეციფიკისა და სეზონურობის შესაბამისად ეპიდემიოლოგიურად საშიშ ზონაში განხორციელდა ადექვატური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, დეზინსექცია.

,,ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა'' ქვეპროგრამის მალარიის კომპონენტის ფარგლებში შესწავლილი იქნა წყალსატევების ანოფელოგენურობა, დადგინდა ფიზიკური და ანოფელოგენური ფართობები, მოხდა მათი პასპორტიზაცია, განისაზღვრა პირეტროიდების საჭირო რაოდენობა, რუტინულად ტარდებოდა ფენოლოგიური დაკვირვებები დაავადების ვექტორზე (კოღო ანოფელესზე ზრდის ფაზების შესაბამისად).

თებერვალ–მარტის თვეში განხორციელდა მალარიოგენული ტერიტორიების პასპორტიზაცია.

აღირიცხა: ბათუმში-126,15ჰა (მ.შ. ანოფელოგენური- 113,45ჰა), ხელვაჩაურში-58ჰა (მ.შ. ანოფელოგენური- 52,9ჰა), ქობულეთში-418ჰა (მ.შ. ანოფელოგენური-317,7ჰა) ფართი.

ეპიდსეზონის განმავლობაში გამოკვლეული იქნა სულ 3839.06 ჰა წყალსატევი, მ.შ ანოფილოგენური - 2690.6ჰა.

მ.შ. ბათუმის ტერიტორიაზე 1177.3 ჰა ფართის წყალსატევი, მ.შ. ანოფელოგენური 732.5ჰა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში -1482.16 ჰა, მ.შ. ანოფელოგენური 1053.5ჰა. ქობულეთში –1179.6 ჰა ფართობი, მ. შ. ანოფელოგენური 904.6ჰა.

–გამოკვლეულ იქნა შენობა-ნაგებობა 264 935 კვ.მ,
–დეზინსექტანტით დამუშავდა 67 750 კვ.მ ფართობი
–გამბუზია გავრცელდა - 301ჰა-ფართის წყალსატევში.

*ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა*

- **თემატურ/საგანმანათლებლო ღონისძიებები მოსწავლე ახალგაზდობისათვის (კონკურსი/კონფერენცია/ფესტივალი)**

ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია აჭარის ა.რ. განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს, თვითმმართველი ერთეულების რესურსცენტრებისა და რეგიონის სკოლების მოსწავლეთა თანამონაწილეობით (30 მაისი).

ნარკოლოგიის სამედიცინო ცენტრის, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა-დისკუსია - ”მსოფლიო თამბაქოს გარეშე” ბათუმის VIII- X კლასის მოსწავლეებთან, რომელთაც გადაეცათ საჩუქრები (31 მაისი);

26 ივნისს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აჭარის მთავრობის, დაქვემდებარებული უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობით ჩატარდა მარათონი და სხვადასხვა ღონისძიებები. მონაწილეებს გადაეცათ ცენტრის მიერ მომზადებული სუვენირები.

13 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია – ,,რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ“, თვითმმართველი ერთეულების რესურსცენტრებისა და რეგიონის სკოლების მოსწავლეთა თანამონაწილეობით. მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრები.

- **საგანმანათლებლო თემატიკით სუვენირების, მაისურების, კეპების, გულსაბნევების, სტიკერების და სხვა მომზადება**

საგანმანათლებლო თემატიკით მომზადებულ იქნა ფლაერები, პოსტერები, სუვენირები, მაისურები, კეპები, გულსაბნევები, სტიკერები, რომლებიც გადაეცათ ცენტრის მიერ ორგანიზებულ თემატური კონფერენციის მონაწილეებს.

რეგიონის სკოლებში ჩატარდა ,,ჯანმრთელობის გაკვეთილები ” თემაზე – სქოლიოზი და თვალის დაავადებები.

-განხორციელდა 165 ვიზიტი, 252 შეხვედრა, 7 013 მსმენელი.

მ.შ.ბათუმში 21 ვიზიტი- 64 შეხვედრა - 1932 მსმენელი,
ქობულეთში 30 ვიზიტი - 30 შეხვედრა - 1093 მსმენელი
ქედა - 28 ვიზიტი (მ.შ. 4 ბაღი), 28 შეხვედრა,1316 მსმენელი
შუახევი - 35 ვიზიტი, 37 შეხვედრა - 594 მსმენელი.
ხელვაჩაური -24 ვიზიტი, 66 შეხვედრა - 1322 მსმენელი

ხულო - 27 შეხვედრა, 27 ვიზით - 756 მსმენელი

**მომზადდა სატელევიზიო კლიპი:**
,,ავადობის აქტიური გამოვლენა”
,,ჰიპერტენზია”
,,იმუნიზაცია”
,,თამბაქოს მავნებლობა“.
,,ცოფის პრევენცია".
,,კონფერენციები სკოლის მოსწავლეებისათვის”

**,,მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) _ პროგრამის 2013 წლის შედეგები**

**პროგრამული ღონისძიებები მოიცავდა:**

- ექიმ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აჭარის სკოლების 1-8 კლასის მოსწავლეთა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პირველად სკრინიგულ კვლევებს;
- საჭიროების შემთხვევაში წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით უფასო ინსტრუმენტულ–ლაბორატორიულ გამოკვლევებს, სკრინინგის შემდგომ კონსულტაციას.
- პროგრამის შედეგების საფუძველზე მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას;
- პროგრამის შედეგების მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს / ინტერპრეტაციას.

ქვეპროგრამა განახორციელა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ _ შპს ,,ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკა”.

- საანგარიშო პერიოდში აჭარის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლებში, ბაღებში განხორციელდა 390 ვიზიტი(მათ შორის 28 მუნიციპალიტეტების ბაღებში), სულ კონსულტირებულ იქნა 36 138 ბავშვი (მ.შ. 2 744 ბაღის) და ჩატარდა 144 552 კონსულტაცია;
- შესრულებული ვიზიტები და კონსულტირებულ ბენეფიციართა რაოდენობა მუნინიპალიტეტების მიხედვით: მ.შ.

ბათუმი -177 ვიზიტი, ბენეფიციარი 16 588;
ხელვაჩაური – 50 ვიზიტი, ბენეფიციარი 4 690 (მ.შ. 777 ბაღის)
ქობულეთი - 89 ვიზიტი, ბენეფიციარი 8131 (მ.შ.1242ბაღის)
შუახევი-18 ვიზიტი, ბენეფიციარი1718 (მ.შ.124ბაღის)
ქედა - 22 ვიზიტი, ბენეფიციარი 2076 (მ.შ.286 ბაღის)
ხულო– 34 ვიზიტი, ბენეფიციარი 2935 (მ. შ 315 ბაღის აღსაზრდელი).

წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 1090 ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევა. მათ შორის:
– ექოსკოპია – 384,
– რენტგენოსკოპია –164,
–ჯირკვლის ჰორმონ. გამოკვლევა - 149,
–ავტორეფრაქტომეტრია-369 .
–სპირომეტრია - 5
–სხვა–19 .
სკინინგის შემდგომი კონსულტაცია 1182.

ქვეპროგრამულ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მიხედვით გამოკვლეულ ბენეფიციართა 32 %-ში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები, რომელთა 30%-ში ისინი სიცოცხლეში პირველად იქნა დიაგნოსტირებული.

**პროგრამულად გამოვლენილი პათოლოგიები და მდგომარეობები მ.შ. სიცოცხლეში პირველად დიაგნოსტირებული**
**აჭარა, 2013 წელი**




**პირველადი პათოლოგიების წილი ექიმ–სპეციალსიტთა მიხედვით, აჭარა, 2013წ**



## ქვეპროგრამა ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ – 608

2013 წლის მე–40 კვირიდან გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რისკ–ჯგუფებისათვის მოწოდებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აცრილი იქნა: დიალიზზე მყოფი პაციენტი–211, დიაბეტიანი ბავშვი–17, სამედიცინო პერსონალი –50.

,,წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N273 განკარგულების ფარგლებში ჩატარდა სულ წითელა–წითურა–ყბაყურას საწინააღმდეგო 3355 აცრა, მ.შ. არასრულად აცრილ ბავშვებში–912, დაავადებულთან კონტაქტირებულებში –1476 და სამედიცინო პერსონალში –967.

,,წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის N550 განკარგულების (მასში 2013 წლის 30 ივლისის N1008 განკარგულებითა და 2013 წლის 17 დეკემბრის N1976 განკარგულებით შესული ცვლილებების გათვალისწინებით) 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგიონში ჩატარდა წითელა–წითურა–ყბაყურას საწინააღმდეგო 3985 აცრა, მ.შ. 2–6 წლამდე ასაკის ბავშვებში–42, 7–13 წლის–867, 14 წლის–3072 აცრა.

2013 წლის განმავლობაში ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში სადიაგნოსტიკო ტესტებით გამოკვლეულ იქნა: ბ ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო ტესტით –5844 ორსული, აივ/შიდსის სადიაგნოსტიკო ტესტით – 5686 ორსული, სიფილისის– 5542 ორსული.
ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით იმუნიზირებული იქნა 162 ბავშვი.

## სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო შეიქმნა აჭარის ა.რ. მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის №43 დადგენილებით და ის წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო დაწესებულებას რეგიონში, რომელიც აწარმოებს საშუამავლო საქმიანობას დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის. სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს მთავარ მიზანს წარმოადგენს დასაქმება და დასაქმების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში.

რეგიონის მასშტაბით სააგენტოს ქსელში, ექვსივე მუნიციპალიტეტში, ფუნქციონირებს სააგენტოს განყოფილებები, სადაც მუშაობს კვალიფიციური და მომზადებული პერსონალი, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დინამიკის, კარიერის დაგეგმვისა და დასაქმებაზე კონსულტაციის საკითხებში. ცენტრს გააჩნია ,,მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის'' მიერ შემუშავებული კომპიუტერული მონაცემთა ბაზა სამუშაოს მაძიებელთა და არსებული ვაკანსიების დასარეგისტრირებლად. არსებული პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მოთხოვნილი ვაკანსიის მიხედვით უმოკლეს ვადებში მოიძებნოს შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის მქონე სამუშაოს მაძიებელი პირი. მონაცემთა ბაზაში დარეგისტირება და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე კონსულტაციის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს უსასყიდლოდ.

დამსაქმებლებთან (ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა სამუშაოს მოძიებაზე, დასაქმების სააგენტოს წარმატების ძირითადი და აუცილებელი წინაპირობაა. დამსაქმებელს შეუძლია დაზოგოს მნიშვნელოვანი დრო და რესურსი სასურველი პერსონალის შერჩევის საკითხში. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოგვაწოდონ ვაკანსიები ნებისმიერი მათთვის მისაღები ფორმით (ტელეფონი, ელ-ფოსტა ან პირადი ვიზიტი), რის საპასუხოდაც ჩვენი კვალიფიციური პერსონალი უზრუნველჰყოფს ვაკანსიის შესაფერისი კადრების ოპერატიულად შერჩევას მონაცემთა ბაზიდან და დამსაქმებლისათვის მიწოდებას. დამსაქმებლები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სამუშაოს მაძიებელთან გასაუბრების თაობაზე. ჩვენთან თანამშრომლობის შემთხვევაში დამსაქმებელი იღებს ისეთ კადრს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს განცხადებულ ვაკანსიაში მითითებულ მოთხოვნებს.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს დასარეგისტრირებლად მომართა 4681 სამუშაოს მაძიებელმა, გაიგზავნა 8349 ადამიანის cv, 2664 გაიგზავნა გასაუბრებაზე ხოლო მიეწოდა ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ რაზეც უარი განაცხადა 1317 სამუშაოს მაძიებელმა; დასაქმდა სულ 2229-ადამიანი. მათგან 1154- გრძელვადიან, 798-დროებით , ხოლო 277 - ერთჯერად სამუშაოზე
- ,,პროფესიული გადამზადების'' პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვეპროგრამა ,,სოციალურად დაუცველი მოქალქეების გადამზადება''. ქვეპროგრამის მოსარგებლე 200 ბენეფიციარი შეირჩა მუნიციპალიტეტების

მიხედვით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. სწავლება განახორციელა ქობულეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა,,ახალი ტალღა''. ბენეფიციარებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების სამ თვიანი კურსები შემდეგ სპეციალობებში: ავტომობილის ზეინკალი, სტილისტი, მზრეული და მეფილე-მომპირკეთებელი. ქვეპროგრამის დასრულების შემდეგ თითოეულ ბენეფიციარს გადაეცა პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.

- აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს განყოფილებებისათვის გამოყოფილი ფართები, რომლებიც განთავსებულია მუნიციპალიტეტების გამგეობის შენობებში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უზურფრუქტის ხელშეკრულებით გადმოეცა დასაქმების სააგენტოს, დასაქმების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის მიზნით, აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგეობებსა და საკრებულოებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, ასევე იგეგმება ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება თვითმართველ ქალაქ ბათუმის მერიასთან და საკრებულოსთან.
- აჭარის რეგიონში პრობაციონერთა დასაქმების ხელშეწყობისა და მათი რესოციალიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ა.რ. დასაქმებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის. 5 პრობაციონერი გადამზადდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, 2 პრობაციონერი დასაქმდა.
- გასული წლის განმავლობაში სააგენტომ უმასპინძლა პოლონეთის რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და ევროპის საზოგადო ფონდების მართვის დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს. ვიზიტის შედეგად, 13–19 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი პოლონეთსი ,, პოლონეთის რეგიონალური განვითარების სამინისტროს ,,საზოგადო ადმინისტრაციის ინსტიტუციური უნარიანობის გაძლიერება საქართველოში, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურული პროგრამების მართვის და მონიტორინგის სისტემის განაკვეთიდან'' პროექტის ფარგლებში:

- *დაიგეგმა ორწლიანი პროექტი მალოპოლსკას რეგიონის მარშალის ოფისთან, 2014 წლის ღონისძიებები აჭარის შრომის ბაზრისა და ეკონომიკური პროგნოზირების ობსერვატორიის დაფუძნებასთან დაკავშირებითა და 2015 წლისათვის შრომის ბაზრისა და მეწარმეობის მხარდაჭერის სისტემის გენერალური გეგმა. პროექტში მონაწილეობის პირობას წარმოადგენს „Polish Aid 2014“ კონკურსში ფინანსური გრანტის მოპოვება, რომელსაც ორგანიზებას უწევს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.*
- ***აჭარაში მეწარმეობისა და შრომის ბაზრის მხარდაჭერის სისტემის გენერალური გეგმის შექმნა***
- *მომზადდება კითხვარი ქართულ ენაზე, რომელიც დაგვეხმარება შრომის ბაზრისა და მეწარმოების მხარდაჭერის დარგში ინსტიტუციური, იურიდიული და ორგანიზაციული სისტემის განსაზღვრაში. ამ სექტორის საქმიანობა დაფიქსირებული იქნება უპირველესად, აჭარაში შრომის ბაზრისა და მეწარმეობის ინსტიტუტიური და იურიდიული სისტემების ღრმა ანალიზზე. ჩატარდება სემინარები აჭარისა და მალოპოსკას დელეგაციების*

*ვიზიტების დროს. ვიზიტებსა და ანალიზის გაკეთების შორის პერიოდებში ჩატარდება სტატისტიკური დოკუმენტაციის დამუშავება და სპეციალისტების კონსულტაციები.*

- ❖ გასული წლის განმავლობაში დასაქმების სააგენტომ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა სემინარებსა და საერთაშორისო კონფერენციებში, კერძოდ:

- ,,მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსათვის'' მიერ ორგანიზებული სემინარი, სემინარის თემა იყო: ,,შრომის ბაზრის სფეროში მოქმედი ინსტიტუციების ქმედითუნარიანობის გაზრდა''.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და საზოგადოებრივი კოლეჯი ,,სპექტრის'' ორგანიზებით განმართული კონფერენცია თემაზე : ,,კერძო სექტორის როლი პროფესიული განათლების განვითარებაში''.
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება ,,GIZ'' მიერ გამართული კონფერენცია, სწორედ ამ შეხვედრის შედეგად 2013 წელს განხორციელდა დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი გერმანიაში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მოწვევით. ვიზიტის ძირითადი თემა იყო "კერძო სექტორის განვითარება საქართველოში"; "შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის წარმატების ფაქტორები, დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა".
- სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია PH internationali ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით , სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოსა და ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის ერთობლივი ინიციატივით, ჩატარდა აჭარაში არსებული სამოქალაქო კლუბის წევრების (კერძოდ მე-9-მე-12 კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ მცირე გრანტების კონკურსში, გეგმავენ და ანხორციელებენ ადვოკატირების კამპანიებს აქტიურობენ ასევე სოციალური მედიის კუთხითაც და სოციალური ქსელებით ცდილობენ გაავრცელონ ყველა განხორციელებული პროექტები.) გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, რაც გულისხმობდა დასაქმების სააგენტოს მომსახურეობის შესახებ ინფორმირებას, კერძოდ თუ როგორ ხდება სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, კონსულტაცია, რეზიუმეს შედგენა და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზება

- ,,მსოფლიო ახალგაზრდობის დღე'' გაეროს მოსახლეობის განვითარების ფონდის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ერთობლივი მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან. განხილულ იქნა სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების საკითხები.

- ❖ მონაწილეობა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

<u>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ბათუმის განყოფილება:</u>

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ბათუმის განყოფილებას სამუშაოს მოძიების მიზნით მომართა 2594 სამუშაოს მაძიებელმა. ყველა მათგანს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოს მომსახურებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. 7967 პიროვნების რეზიუმე (CV) გადაიგზავნა დამსაქმებლებთან განსახილველად, 1924 გაიგზავნა გასაუბრებაზე, ხოლო 1128 ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია არსებული, შესაბამისი ვაკანსიების შესახებ, რაზეც უარი განაცხადეს. ჩატარებული სამუშაოს შედეგად სულ დასაქმდა 827 ადამიანი, მათ გან 377 - გრძელვადიან სამუშაოზე, 418 - დროებით სამუშაოზე, ხოლო 32 - ერთჯერად სამუშაოზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3).

**ცხრილი 1: გაწეული მომსახურება**




ცხრილი 2: დასაქმება




ცხრილი 3: დასაქმება ხანგრძლივობის მიხედვით




<u>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ქობულეთის განყოფილება:</u>

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ქობულეთის განყოფილებას სამუშაოს მოძიების მიზნით მომართა 363 სამუშაოს მაძიებელმა. ყველა მათგანს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოს მომსახურებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. 259 პიროვნების რეზიუმე (CV) გადაიგზავნა დამსაქმებლებთან განსახილველად, 83 გაიგზავნა გასაუბრებაზე, ხოლო 41 ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია არსებული, შესაბამისი ვაკანსიების შესახებ, რაზეც უარი განაცხადეს. ჩატარებული სამუშაოს შედეგად სულ დასაქმდა 324 ადამიანი, მათ გან 117 - გრძელვადიან სამუშაოზე, 182 - დროებით სამუშაოზე, ხოლო 25 - ერთჯერად სამუშაოზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3).

**ცხრილი 1: გაწეული მომსახურება**




ცხრილი 2: დასაქმება




ცხრილი 3: დასაქმება ხანგრძლივობის მიხედვით



**<u>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ხელვაჩაურის განყოფილება:</u>**

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ხელვაჩაურის განყოფილებას სამუშაოს მოძიების მიზნით მომართა 642 სამუშაოს მაძიებელმა. ყველა მათგანს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოს მომსახურებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. 133 პიროვნების რეზიუმე (CV) გადაიგზავნა დამსაქმებლებთან განსახილველად, 334 გაიგზავნა გასაუბრებაზე, ხოლო 73 ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია არსებული, შესაბამისი ვაკანსიების შესახებ, რაზეც უარი განაცხადეს. ჩატარებული სამუშაოს შედეგად სულ დასაქმდა 568 ადამიანი, მათ გან 352 - გრძელვადიან სამუშაოზე, 212 - დროებით სამუშაოზე, ხოლო 4 - ერთჯერად სამუშაოზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3).

**ცხრილი 1: გაწეული მომსახურება**




**ცხრილი 2: დასაქმება**




ცხრილი 3: დასაქმება ხანგრძლივობის მიხედვით




<u>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ქედის განყოფილება:</u>

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ქედის განყოფილებას სამუშაოს მოძიების მიზნით მომართა 321 სამუშაოს მაძიებელმა. ყველა მათგანს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოს მომსახურებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. 44 პიროვნების რეზიუმე (CV) გადაიგზავნა დამსაქმებლებთან განსახილველად, 11 გაიგზავნა გასაუბრებაზე, ხოლო 57 ბენეფიციარს

მიეწოდა ინფორმაცია არსებული, შესაბამისი ვაკანსიების შესახებ, რაზეც უარი განაცხადეს. ჩატარებული სამუშაოს შედეგად სულ დასაქმდა 260 ადამიანი, მათ გან 101 - გრძელვადიან სამუშაოზე, 78 - დროებით სამუშაოზე, ხოლო 81 - ერთჯერად სამუშაოზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3).

ცხრილი 1: გაწეული მომსახურება




ცხრილი 2: დასაქმება




ცხრილი 3: დასაქმება ხანგრძლივობის მიხედვით




<u>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შუახევის განყოფილება:</u>

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შუახევის განყოფილებას სამუშაოს მოძიების მიზნით მომართა 481 სამუშაოს მაძიებელმა. ყველა მათგანს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოს მომსახურებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. 27 მათგანის რეზიუმე (CV) გადაიგზავნა დამსაქმებლებთან განსახილველად, 180 გაიგზავნა გასაუბრებაზე, ხოლო 40 ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია არსებული, შესაბამისი ვაკანსიების შესახებ, რაზეც უარი განაცხადეს. ჩატარებული სამუშაოს შედეგად სულ დასაქმდა 233 ადამიანი, მათ გან 124 - გრძელვადიან სამუშაოზე, 28 - დროებით სამუშაოზე, ხოლო 81 - ერთჯერად სამუშაოზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3).

**ცხრილი 1: გაწეული მომსახურება**




ცხრილი 2: დასაქმება




ცხრილი 3: დასაქმება ხანგრძლივობის მიხედვით




<u>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ხულოს განყოფილება:</u>

2013 წლის განმავლობაში სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ხულოს განყოფილებას სამუშაოს მოძიების მიზნით მომართა 288 სამუშაოს მაძიებელმა. ყველა მათგანს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოს მომსახურებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. 37 პიროვნების რეზიუმე (CV) გადაიგზავნა დამსაქმებლებთან განსახილველად, 168 გაიგზავნა გასაუბრებაზე, ხოლო 2 ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია არსებული, შესაბამისი ვაკანსიების შესახებ, რაზეც უარი განაცხადეს. ჩატარებული სამუშაოს შედეგად სულ დასაქმდა 193 ადამიანი, მათ გან 90 - გრძელვადიან სამუშაოზე, 39 - დროებით სამუშაოზე, ხოლო 64 - ერთჯერად სამუშაოზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3)

ცხრილი 1: გაწეული მომსახურება




ცხრილი 2: დასაქმება




ცხრილი 3: დასაქმება ხანგრძლივობის მიხედვით




<u>საერთო მონაცემები:</u>

2013 წელს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს სულ მომართა 4689 სამუშაოს მაძიებელმა. მომსახურება გაწეული იქნა 12508 ჯერ ( გადაიგზავნა 8467 CV, 2700 ადამიანი გაიგზავნა გასაუბრებაზე დამსაქმებლებთან და მიეწოდათ ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ, რაზეც 1341 ადამიანმა უარი განაცხადა). აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შედეგად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ დასაქმდა 2228 ადამიანი.

ცხრილი: აჭარა, 2013




**დასაქმებულები პროფესიების მიხედვით 03.01-31.12.2013 პერიოდისთვის**

| № | პროფესია | ბათ | ქობ | ხელვ | ქედა | შუახ | ხულო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აგენტი | 6 | 3 | | | | | 9 |
| 2 | აგენტი, გაყიდვები | 2 | | 2 | | | | 4 |
| 3 | აგენტი, პრომო | 7 | | | | | | 7 |
| 4 | აგენტი, რეკლამა | 4 | | | | | | 4 |
| 5 | აგრონომი | | | | 1 | | 1 | 2 |
| 6 | ადმინისტრატორი | 12 | 2 | 5 | | 1 | | 20 |
| 7 | ადმინისტრაციის უფროსი | | | | | | | 0 |
| 8 | ავეჯის ამწყობი | | | | | | | 0 |
| 9 | ავტობუსის მძღოლი | | 11 | | | | | 11 |
| 10 | ავტოშემკეთებელი | | | | | | | 0 |
| 11 | ალმირების ხელოსანი | | | | | | | 0 |
| 12 | ანიმატორი | | 1 | | | | | 1 |
| 13 | არქიტექტორი | | | | | | | 0 |
| 14 | აუზის მომვლელი | 2 | | | | | | 2 |
| 15 | აღმრიცხველი | | | | | | | 0 |
| 16 | აღმზრდელი | | 21 | 27 | 2 | | 1 | 51 |
| 17 | აღმზრდელის თანაშემწე | | | | | | | 0 |
| 18 | ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსი | 5 | | | | | | 5 |
| 19 | ბარმენი | | | | | | | 0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | ბარ-მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 21 | ბეტონის ნიმუშების ლაბორანტი | | | | | | | 0 |
| 22 | ბიბლიოგრაფი | | | | | | | 0 |
| 23 | ბიბლიოთეკარი | | | | | | | 0 |
| 24 | ბონიფიკატორი | | | | | | | 0 |
| 25 | ბრენდ მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 26 | ბრიგადირი | 2 | | | 2 | | | 4 |
| 27 | ბუნებრივი აირის ოპერატორი | | | | | | | 0 |
| 28 | ბუღალტერი | 7 | | 1 | 2 | 2 | 1 | 13 |
| 29 | ბუღალტრის თანაშემწე | 3 | | 2 | | | | 5 |
| 30 | გათბობა-გაგრილების სისტემის ხელოსანი | | | | | | | 0 |
| 31 | გამგებლის მოადგილე(თანაშემწე) | | | | 5 | 2 | | 7 |
| 32 | გამყიდველი | 7 | 6 | 3 | | | 3 | 19 |
| 33 | განყოფილების უფროსი | | | | 1 | 4 | | 5 |
| 34 | გარე ფასადის მომპირკეთებელი | 21 | | | | | | 21 |
| 35 | გაყიდვების მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 36 | გაყიდვების დეპარტამენტის მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 37 | გეოგრაფი | | | | | | | 0 |
| 38 | გეოდეზისტი (დამხმარე გეოდეზისტი) | | | | | 1 | | 1 |
| 39 | გიტარისტი | | | | | | | 0 |
| 40 | გუშაგი | | | | | | | 0 |
| 41 | დალაქი | | | | | | | 0 |
| 42 | დამლაგებელი | 57 | 19 | 12 | 1 | 9 | 2 | 100 |
| 43 | დამხმარე პერსონალი | | 9 | | | 2 | | 11 |
| 44 | დამუთოებელი | | | 5 | | | | 5 |
| 45 | დარაჯი | 1 | | 3 | 3 | 1 | 2 | 10 |
| 46 | დასუფთავების სპეციალისტი | 4 | | | | | | 4 |
| 47 | დაცვის თანამშრომელი | 30 | 9 | 2 | 2 | | | 43 |
| 48 | დეკორატორი | | | | | | | 0 |
| 49 | დიასახლისი | 4 | | | | | | 4 |
| 50 | დიეტექთანი | | | | | | | 0 |
| 51 | დირექტორი | | 4 | | | 2 | | 6 |
| 52 | დირექტორის მოადგილე | | | | | | | 0 |
| 53 | დირექტორის თანაშემწე | | | | | | | 0 |
| 54 | დისპეტჩერი | | | | | | | 0 |
| 55 | დისტრიბუტორი | 22 | | 2 | 1 | | | 25 |
| 56 | დისტრიბუტორის თანაშემწე | 1 | | | | | | 1 |
| 57 | დოკერი | | | | | | | 0 |
| 58 | დონერის სპეციალისტი | | | | | | | 0 |
| 59 | დურგალი | 4 | | 15 | 3 | | | 22 |
| 60 | ეკონომისტი | | | | | | | 0 |
| 61 | ელექტრიკოსი | 13 | | | 1 | 2 | 4 | 20 |
| 62 | ელექტრო მემონტაჟე | | | | | | | 0 |
| 63 | ელ.მონტიორი | | | | 2 | | | 2 |
| 64 | ენტემოლოგი | | | | | | | 0 |
| 65 | ეპიდემიოლოგი | | | | | | | 0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 66 | ექიმი | 2 | | 3 | | | | 5 |
| 67 | ექიმ-ლაბორანტი | | | | | | | 0 |
| 68 | ექოსკოპისტი | | | | | | | 0 |
| 69 | ექსკურსიამძღოლი | | | | 1 | | | 1 |
| 70 | ვეტერინარი | | | | 5 | 1 | 1 | 7 |
| 71 | ზედამხედველი (მშენებლობა) | 1 | | | 1 | | | 2 |
| 72 | ზეინკალი | | | | | | | 0 |
| 73 | ზეინკალი, დამხმარე | | | | | | | 0 |
| 74 | თარჯიმანი | 1 | | | | | | 1 |
| 75 | თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი | | 1 | | | | | 1 |
| 76 | თარგილის მემონტაჟე | | | | | | | 0 |
| 77 | იზოლაციის სპეციალისტი | 2 | | | | | | 2 |
| 78 | ინჟინერი | 2 | | | | 1 | 1 | 4 |
| 79 | ინჟინერ-ელექტრიკოსი | | | | | | | 0 |
| 80 | ინჟინერ-ზედამხედველი | | | | | | | 0 |
| 81 | ინკასატორი, ბანკი | | | | | | | 0 |
| 82 | ინსტალატორი | 1 | | | | | | 1 |
| 83 | ინტერვიუერი | | | | | | | 0 |
| 84 | იურისტი | 1 | | 1 | 1 | | | 3 |
| 85 | იხტიოლოგი | | | | | | | 0 |
| 86 | კალატოზი | 74 | | | 2 | | | 76 |
| 87 | კანცელარიის გამგე | | | | | 1 | | 1 |
| 88 | კბილის ტექნიკი | | | | | | | 0 |
| 89 | კლიენტ მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 90 | კონსულტანტი | 25 | 1 | 39 | 1 | | | 66 |
| 91 | კონტროლიორი | | | | | | | 0 |
| 92 | კონტროლიორი/დაცვის თანამშრომელი | 7 | | | | | | 7 |
| 93 | კოორდინატორი | | | | 3 | | | 3 |
| 94 | კორპორატიული ბანკირი | | | | | | | 0 |
| 95 | კრედიტ ექსპერტი | | | | | | | 0 |
| 96 | კურიერი | | | | | | | 0 |
| 97 | ლამინატის დამგები | | | | | | | 0 |
| 98 | ლანდშაფტის დიზაინერი | | | | | | | 0 |
| 99 | ლიფტის ხელოსანი | | | | | | | 0 |
| 100 | ლენი-პორტიე / შეზლონგის გამქირავებელი | 1 | 22 | | | | | 23 |
| 101 | ლოგოპედი | | | | 4 | | | 4 |
| 102 | ლუდის ჩამომსხმელი | | | | | | | 0 |
| 103 | მარკეტოლოგი | | | | | | | 0 |
| 104 | მასაჟისტი | 3 | | | | | | 3 |
| 105 | მასწავლებელი | 15 | 4 | 15 | 4 | 3 | 15 | 56 |
| 106 | მაღლივი მემონტაჟე | | | | | | | 0 |
| 107 | მაშველი | 48 | 2 | | | | | 50 |
| 108 | მბეჭდავი | | | | | | | 0 |
| 109 | მდივანი | | | | | | | 0 |
| 110 | მდივან-რეფერენტი | | | | | | 1 | 1 |
| 111 | მეაბაზანე | 1 | | | | | | 1 |
| 112 | მეარმატურე | | 3 | | | | | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 113 | მებათქაშე | 56 | | | 2 | | | 58 |
| 114 | მებაღე | | | | 1 | | | 1 |
| 115 | მებეტონე | | 1 | | | | | 1 |
| 116 | მეგარდეროზე | 1 | | | 1 | | | 2 |
| 117 | მეგზევე | | | | 5 | 9 | 6 | 20 |
| 118 | მედდა | 9 | 4 | 4 | 1 | | 4 | 22 |
| 119 | მეეზოვე | 1 | 3 | | 4 | | | 8 |
| 120 | მეველე | | | | | | | 0 |
| 121 | მეთოდისტი | | 4 | | | | | 4 |
| 122 | მეთუნუკე | 6 | | | | | 2 | 8 |
| 123 | მეისრე | 2 | | | | | | 2 |
| 124 | მეკუჭნავე | | | | | | | 0 |
| 125 | მენეჯერი | 4 | 1 | 4 | | | 15 | 24 |
| 126 | მენეჯერის თანაშემწე | | | 1 | | | | 1 |
| 127 | მენეჯერი, მშენებლობა | | | | | | | 0 |
| 128 | მენეჯერი,პროექტი ასისტენტი | | | | | | | 0 |
| 129 | მენეჯერი, რესტორანი | | | | | | | 0 |
| 130 | მერჩენდაიზერი | | | | | | | 0 |
| 131 | მესიროპე | | | | | | | 0 |
| 132 | მეფილე-მომპირკეთებელი | 103 | | | | | 6 | 109 |
| 133 | მექანიზატორი | | 1 | | | 1 | | 2 |
| 134 | მექანიკოსი | 1 | | 3 | | 1 | | 5 |
| 135 | მეყალიბე | | 9 | | | | | 9 |
| 136 | მეშოთე | | | | | 2 | | 2 |
| 137 | მეხანძრე | | 6 | 11 | | | | 17 |
| 138 | მეხაჭაპურე | | | | | | | 0 |
| 139 | მზარეული | 8 | 4 | 5 | | 1 | 4 | 22 |
| 140 | მზარეულის თანაშემწე | 2 | 3 | 7 | | 1 | 3 | 16 |
| 141 | მთავარი სპეციალისტი | | 4 | | 2 | | | 6 |
| 142 | მკერავი | 3 | | 9 | | | | 12 |
| 143 | მკერავი-ოპერატორი | | | 18 | | | | 18 |
| 144 | მლესავი | | | | | | 3 | 3 |
| 145 | მიმტანი | 32 | 2 | 10 | | 6 | 1 | 51 |
| 146 | მინისტრის თანაშემწე | | | | | | | 0 |
| 147 | მნე | | 5 | | 3 | | | 8 |
| 148 | მოზაიკის ხელოსანი | | | | | | | 0 |
| 149 | მოლარე | 2 | 1 | | | | | 3 |
| 150 | მოლარე, ბილეთები | | | | | | | 0 |
| 151 | მოლარე-ოპერატორი | 2 | | 3 | | | | 5 |
| 152 | მოლარე-კონსულტანტი | 2 | | | | | | 2 |
| 153 | მომვლელი | 3 | | | | | | 3 |
| 154 | მომმარაგებელი | 1 | | | | 2 | 3 | 6 |
| 155 | მომღერალი | | | | | | | 0 |
| 156 | მონიტორინგის სპეციალისტი | | | | | | | 0 |
| 157 | მრეცხავი | | 12 | 4 | | 1 | | 17 |
| 158 | მტვირთავი | 3 | | | | | | 3 |
| 159 | მუსიკოსი | | | | 3 | | | 3 |
| 160 | მუშა, დამხმარე | 74 | 121 | 23 | 31 | 79 | 61 | 389 |
| 161 | მღებავი | 13 | 2 | | 11 | 3 | | 29 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 162 | მღებავ-მებათქაშე | | | | 5 | | | 5 |
| 163 | მცხობელი | | 1 | | | | | 1 |
| 164 | მძიმე ტექნიკის ოპერატორი | | 1 | | | | | 1 |
| 165 | მძღოლი | 7 | 2 | 6 | 17 | 23 | 4 | 59 |
| 166 | მწველავი | | | | | | | 0 |
| 167 | მწვრთნელი | | | | | | | 0 |
| 168 | ოპერატორი | 6 | 1 | 45 | 2 | 3 | 1 | 58 |
| 169 | ოპერატორი, ბენზინგასამართი სადგური | | | | | | | 0 |
| 170 | ორისის მასწავლებელი/ბუღალტერ-ოპერატორი | | | | | | | 0 |
| 171 | ოსტატი | | | | | | | 0 |
| 172 | ოფისის თანამშრომელი | 2 | | 91 | 2 | | 7 | 102 |
| 173 | ოფის მენეჯერი | 4 | | 1 | | | | 5 |
| 174 | ოფიცერი, პრობაცია | | | | | | | 0 |
| 175 | პიანისტი | | | | | | | 0 |
| 176 | პიარ მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 177 | პირველადი დახმარების ექიმი | | | | | | | 0 |
| 178 | პირველი კატეგორიის კონსტრუქტორი | | | | | | | 0 |
| 179 | პრისელერი | | | | | | | 0 |
| 180 | პროდუქტის გადამამუშავებელი | | | | | | | 0 |
| 181 | პროექტანტ-ოპერატორი | | | | | | | 0 |
| 182 | პროექტორი | | | | | | | 0 |
| 183 | პურის დამფასოებელი | | | | | | | 0 |
| 184 | პურის მცხობელი | | | | | | | 0 |
| 185 | რეალიზატორი | | | | 1 | 1 | | 2 |
| 186 | რეგისტრატორი | | | | 16 | | 18 | 34 |
| 187 | რეინჯერი | | | | | 2 | | 2 |
| 188 | რიცეფშენი | | | | | | | 0 |
| 189 | რძის ნაწარმის გადამამუშავებელი | | | | | | | 0 |
| 190 | საამქროს უფროსი | | 1 | | | | | 1 |
| 191 | სავაჭრო წარმომადგენელი | 1 | | | | | | 1 |
| 192 | სავენტილაციო სისტემების ინჟინერ-სპეციალისტი | | | | | | | 0 |
| 193 | საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი | | | | | 1 | | 1 |
| 194 | სამსახურის უფროსი | | | | 1 | 3 | | 4 |
| 195 | სამსახურის უფროსის მოადგილე | | | | | 1 | | 1 |
| 196 | სამართალმცოდნეობისა და რუსული ენის სპეციალისტი | | | | | | | 0 |
| 197 | სამედიცინო წარმომადგენელი | | | | | | | 0 |
| 198 | სამეურნეო განყოფილების უფროსი | | | | | | | 0 |
| 199 | სამუშაოთა მწარმოებელი | | 1 | | 1 | | | 2 |
| 200 | სანიტარი | 18 | | 1 | | | | 19 |
| 201 | სანტექნიკოსი | 6 | 1 | | | 2 | | 9 |
| 202 | სახანძრო მაშველი | | | | | 2 | | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 203 | საქვაბელის მომვლელი | 1 | | | | | | 1 |
| 204 | საქმის მწარმოებელი | 3 | | | | | | 3 |
| 205 | საწყობის თანამშრომელი | 1 | | 5 | | | | 6 |
| 206 | სოფლის(თემის) რწმუნებული | | | | 7 | 40 | 17 | 64 |
| 207 | სპა ცენტრის ადმინისტრატორი | | | | | | | 0 |
| 208 | სპეციალისტი | | | | 17 | | | 17 |
| 209 | სპორტული მოედნის საფარის ტექნოლოგ-კონსულტანტი /კორდის დამგები | | | | | | | 0 |
| 210 | სტაჟიორი | 5 | | | | | | 5 |
| 211 | სტილისტი | | | | | | 1 | 1 |
| 212 | სტომატოლოგი | | | | | | | 0 |
| 213 | სუპერვაიზერი | | 1 | | | | | 1 |
| 214 | ტექნიკოსი | | | | | | | 0 |
| 215 | ტექნიკოსი, IT | | | | | | | 0 |
| 216 | ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი | | | | | | | 0 |
| 217 | ტექნოლოგი | 1 | 2 | | | | | 3 |
| 218 | ტიტესტეირი | | | | | | | 0 |
| 219 | ტურაგენტი | | | | | | | 0 |
| 220 | ტურიზმის მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 221 | ტუროპერატორი | 1 | | | | | | 1 |
| 222 | უსაფრთხოების ზედამხედველი | 2 | | | | | | 2 |
| 223 | უძრავი ქონების აგენტი | 3 | | | | | | 3 |
| 224 | ფარმაცევტი | 1 | 1 | | 1 | | 2 | 5 |
| 225 | ფინანსისტი | | | | 1 | 1 | 1 | 3 |
| 226 | ფინანსისტის ასისტენტი | | | | | | | 0 |
| 227 | ფინანსური მენეჯერი | | | | | | | 0 |
| 228 | ფსიქოლოგი | | | | 2 | | | 2 |
| 229 | ქვაფენილის დამგები | | | | | | | 0 |
| 230 | ქვესადგურის მორიგე | 1 | | | | | | 1 |
| 231 | ქვის მჭრელი | | | | | | | 0 |
| 232 | ქორეოგრაფი | | | | 1 | | | 1 |
| 233 | ღონისძიებების ორგანიზატორი | | | | | | | 0 |
| 234 | შავი ტიხრების მომწყობი | | | | | | | 0 |
| 235 | შეკიდული ჭერის სპეციალისტი | | | | | | | 0 |
| 236 | შემდუღებელი | 11 | 1 | | 1 | 2 | | 15 |
| 237 | შემფუთველი | | | | | | | 0 |
| 238 | შესყიდვების კოორდინატორი, სპეციალისტი | 1 | | | | | | 1 |
| 239 | შესყიდვების მენეჯერი | 3 | | 1 | | | | 4 |
| 240 | შვეიცარი | 1 | | | | | | 1 |
| 241 | ჩამომსხმელი | | | | 4 | | | 4 |
| 242 | ცეკვის მასწავლებელი | | | | 2 | 1 | | 3 |
| 243 | ცვლის უფროსი | | | | | 2 | | 2 |
| 244 | ძიძა | 8 | 10 | 1 | | 1 | 2 | 22 |
| 245 | წამყვანი სპეციალისტი | | | | 53 | 9 | | 62 |
| 246 | წარმომადგენელი | | | | 4 | | | 4 |
| 247 | წრის ხელმძღვანელი | | | | 2 | 1 | | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 248 | წყალსადენის მომვლელი | | | | 6 | | | 6 |
| 249 | ჭურჭლის მრეცხავი | 8 | | 1 | | | | 9 |
| 250 | ხაზის ოპერატორი | | | | | | | 0 |
| 251 | ხარატი | | | | | | | 0 |
| 252 | ხარაჩოს ამწყობი | 2 | | | | | | 2 |
| 253 | ხელოსანი | 1 | | | | | | 1 |
| 254 | ხელოსანი, მეტალო-კონსტრუქციები | 1 | | | | | | 1 |
| 255 | ხელსაქმის ოპერატორი | | | | | | | 0 |
| 256 | ჰაუზკიპერი | | | | | | | 0 |
| 257 | ჰიგიენის სპეციალისტი | 1 | | | 2 | | | 3 |
| 258 | ჰიდროიზოლაციის სპეციალისტი | 1 | | | | | | 1 |
| 259 | HR-ის თანაშემწე | | | | | | | 0 |
| 260 | HR მენეჯერი | | | | | | | 0 |
| | **სულ:** | **827** | **324** | **391** | **260** | **233** | **193** | **2228** |

## სამინისტროს ძირითადი გამოწვევები 2014 წლისათვის

სამინისტროს 2014 წლის პროგრამები, შინაარსითა და მოცულობით ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე.

- დაიგეგმა სქოლიოზით დაავადებული ბავშვების რეაბილიტაცია, პროგრამით 2 500–ზე მეტი 18 წლამდე ბენეფიციარი ისარგებლებს, მომსახურების ხარჯი 100%–ით აუნაზღაურდებათ.
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ახალშობილი ტყუპების ოჯახებს.
- გაიზრდება 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერად მატერიალური დახმარებისოდენობა.
- 2014 წელს სამინისტრო პირველად პროგრამულად დააფინანსებს მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს. პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 200 000 ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს.
- განხორციელდება სოფლის პ.ჯ.დ. ექიმების, მედდების და თ.ს.პ. მედდების მიზნობრივი პროფესიული გადამზადება.

**მნიშვნელოვანი ცვლილებები განხოცრიელდება პირველადი ჯანდაცვის ქსელში:**

- პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები გადმოვა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მართვაში. მათთვის სამინისტრო გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით 21 ავტომანქანას შეიძენს, რომელიც პირველ რიგში მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს გადაეცემა. ავტომანქანების შენახვის, საწვავის,

ხარჯებს, ასევე მედიკამენტებისა და კომუნლურ გადასახადებს მუნიციპალიტეტები დაფარავს.

- მაღალმთიანი სოფლების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ექიმებს ხელფასები 300 ლარით, ხოლო ბარში დასაქმებულებს 150 ლარით გაეზრდებათ. მათ ხელფასს 30%-ით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროც გაუზრდის. საერთო ჯამში პჯდ-ს ექიმის ხელფასი 2014 წელს დაახლოებით 800- 900 ლარი იქნება.

❖ **გაგრძელდება ეკომიგრანტიდა დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება**

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში ეკომიგრანტებისთვის დაიწყება ერთი 72 ბინიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც2015 წელს დასრულდება.

- 2014 წელს დასრულდება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პანტნარში მცხოვრები 16 ეკომიგრანტი ოჯახის განსახლება ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. პროექტი განხორციელდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შვეიცარიის განვითრებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ურთიერთშეთანხმების სფუძველზე.
- თამარის დასახლებაში ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

❖ **დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაგეგმილია**

1. შპს "ქ.ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულიოზის რეგიონული ცენტრის" სრული რეაბილიტაცია;
2. შპს "ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკის" შენობის რემონტი;
3. შპს "მახიჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკის" შენობის რემონტი;
4. სხალთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის შენობის ნაწილის რემონტი;
5. შპს "თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის" პორტატული რენტგენის აპარატის შეძენა;
6. შპს "ნარკოლოგიური ცენტრის" შენობის რემონტი;
7. 2014 წელს პოლონეთის მთავრობის ხელშეწყობით მოხდება შრომის ბაზრის კვლევა.

**ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობის საკითხზე.**

❖ **ახალი ინიციატივები**

- ექიმთა საზოგადოების აღორძინება,
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სახელმწიფო შპს მართვაში,
- ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ჰოსპიტალურ დაწესებულებებთან სამედიცინო დახმარების ხარისხის მართვის საკითხებში.